შირაქი

SHIRAKI

www.opentext.ge

გამოდის 1937 წლიდან

№16 (9.532)

12 მაისი 2012 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით

სკანდალი

დედოფლისწყაროს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებმა პროექტ „ნიჭიერის“ შესარჩევი და მეორე ტურები წარმატებით გადალახეს. ჟიურის სამივე წევრის „კი“, აღფრთოვანება და უამრავი ქება დაიმსახურეს და მორიგი წარმატების მოლოდინში შემდეგი ტურისთვის მზადებაც დაიწყეს. თუმცა, მხოლოდ პროექტის ეთერში გასვლიდან თვენახევრის შემდეგ, 30 აპრილს გაირკვა, რომ მონაწილეები პროექტს მოულოდნელად იმიტომ გამოეთიშნენ, რომ მათი „მოწონებული“ გამოსვლა ქრონომეტრაჟში ვეღარ ჩატიეს.

„ნიჭიერის“ ერთ-ერთმა პროდიუსერმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, რომ საეთერო დრო შეზღუდულია, აღარც ადგილები იყო და ამ მიზეზით, შემდეგ ეტაპზე გადაყვანილი 100-მდე მონაწილე, დადებითი შეფასების მიუხედავად, პროექტის გარეთ დარჩა.

ანსამბლ „შირაქის“ მოცეკვავეებმა, რომლებმაც ჟიურის მოწონება ჯერ დედოფლისწყაროში ჩატარებული ქასთინგის დროს დაიმსახურეს, შემდეგ კი ფალავანდიშვილ-ნიჟარაძე-ჯავახიშვილის აღფრთოვანებაც მოახერხეს და მათივე ფრაზებით რომ ვთქვათ, „დარბაზის ჩათვლით 4 „კი“ მოაგროვეს“ - მხოლოდ გადაცემების ჩანაწერების სატელევიზიო ჩვენების დასრულების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ მომდევნო ტურში მათ პროექტში აღარავინ ელოდა.

„5 თებერვალს დილის ათი საათიდან რუსთაველის თეატრში სხვადასხვა სახის სარეკლამო გადაღებებზე ვიყავით, ყველა მონაწილეს ცალკ-ცალკე იღებდნენ. ეს ტური წარმატებით დავძლიეთ და საბოლოო ჯამში ჟიურის სამივე წევრის „კი“ მივიღეთ. გეგას და სოფოს დადებითი კომენტარის შემდეგ, ბოლო და გადამწყვეტი სიტყვა ვანო ჯავახიშვილმა თქვა და დაამატა — „ამ ჟანრში ძალიან ბევრი მოღვაწეობს, მაგრამ თქვენ შეძელით, განსაკუთრებულები ყოფილიყავით. ოთხი „კი“ გაქვთ დარბაზის ჩათვლით, რადგან მთელი დარბაზი ფეხზე დგასო“. სოფო ნიჟარაძემ აღნიშნა — „ძალიან მოკლე დროში შეძელით შესაძლებლობების საუკეთესოდ წარმოჩენაო“... იყო სიხარულის ყიჟინაც და ინტერვიუები. როგორც გვითხრეს, გველოდებოდნენ მეორე ტურში, მაგრამ გაირკვა, რომ ეთერში საერთოდ არ აჩვენეს ჩვენი გამოსვლა და შესაბამისად, დადებითი შეფასებების მიუხედავად პროექტს გამოვეთიშეთ,“ — აღნიშნავს ანსამბლ „შირაქის“ ხელმძღვანელი ალექსი გაბრიელაშვილი.

„გასაგებია, რომ ჟიურის ყველა წევრის დადებითი შეფასება აქვთ, მაგრამ ყველა მონაწილეს წინასწარ კონტრაქტზე აქვს ხელი მოწერილი. იქ გარკვევით წერია, რომ წინასწარ უცნობია, მათი გამოსვლის ჩანაწერიდან 5 წამი მოხვდება ეთერში, 5 წუთი, თუ საერთოდ არ გამოვიყენებდით ფრაგმენტს ეთერში. ამიტომ, უცნაურია, თუ ვინმემ უკმაყოფილება გამოთქვა. ცხადია, ეს უსიამოვნო და სამწუხარო ფაქტია, მაგრამ საეთერო დროის და შეზღუდული ადგილების გამო ასე მოხდა. წინასწარ არავინ იცოდა, რა ფრაგმენტები მოხვდებოდა ეთერში. ასეთი 100-მდე მონაწილეა. ნახევარფინალში გადამსვლელთა რიცხვი უკვე შეივსო და ამიტომ ისინი ფინალს მიღმა დარჩნენ. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს, შეუძლია ჩვენს იურისტებს მიმართოს, მე ვერ გაგცემთ პასუხს,“ - განაცხადა პროექტ „ნიჭიერის“ ერთ-ერთმა პროდიუსერმა ჩვენთან სატელეფონო საუბარში, თუმცა ვინაობის დაკონკრეტება არ ისურვა.

„მაყურებლისთვის გამორჩეული სანახაობა რომ შეგვეთავაზებინა და მათი განცვიფრება მცირე დროში მოგვეხერხებინა, ამისათვის სპეციალური ნომერი დავდგით. ცოტა დრო მოგვცეს და ჟიურის წინაშე 2,5 წუთი ხანგრძლივობის ნომერი, ცეკვა „მთიულური“, 10 წლამდე ასაკის 25-მა ბავშვმა შეასრულა.

(გაგრძელება გვ.5)

ფერმერთა მომსახურების ცენტრები - რეგიონებში

უახლოეს დღეებში ქვეყნის მასშტაბით ფერმერთა მომსახურების 12 ახალი ცენტრი ამოქმედდება. ცენტრის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება დედოფლისწყაროშიც. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მისი გახსნის ცერემონია თვის ბოლომდე იგეგმება. როგორც ადგილზე დასაქმებული პერსონალი აცხადებს, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაჩქარებული ტემპით, 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს.

ამ ცენტრების შესახებ 8 მაისს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემაც ვრცლად ისაუბრა.

მისი თქმით, აღნიშნულ ცენტრებში ფერმერებს და გლეხებს შემდეგი სერვისით სარგებობის შესაძლებლობა ექნებათ: 42 სახეობის აგრარული ოპერაცია, რაშიც ნიადაგის მოხვნა, მოსავლის აღება, კულტივაცია, ბოსტნეულის თესვა, შეღავათიან ფასებში შხამქიმიკატებისა და მექანიზაციის მარაგნაწილების რეალიზაცია, საერთაშორისო და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება, სასოფლო მეურნეობის ტექნიკის მომსახურეობა და სხვა მომსახურებები იგულისხმება.

მანჯგალაძისივე განმარტებით, ფერმერები ასევე მიიღებენ 5 სახის ლაბორატორიულ მომსახურეობას.

„ეს არის ნიადაგის ანალიზი, ცხოველთა მოვლის კვებისა და დაავადებების გამოკვლევა, შხამქიმიკატების ანალიზის ლაბორატორია, კლიმატური პირობები და პროგნოზირებების ლაბორატორია“, — განმარტა მანჯგალაძემ.

პრესსპიკერის თქმითვე, სერვისების მშენებლობა უკვე სრულდება დედოფლისწყაროში, აბაშაში, ზესტაფონში, ოზურგეთში და სამტრედიაში. „ასევე ამ ჩამონათვალშია გურჯაანი, ამბროლაური, ახალციხე, ბოლნისი და მარნეული“, — დასძინა მანჯგალაძემ.

ილია მარტყოფლიშვილი

მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია



გვ. 4

„აგენტებმა ჯართში გაყიდული მანქანა შემოსავლად ჩაგვითვალეს და დახმარება შეგვიწყვიტეს.”

გვ. 5

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი - ყველაფერი მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www.dedoplistskaro.ge

C M Y K

სოფელ გამარჯვების გაზიფიცირება სრულდება

აზერბაიჯანული კომპანია „სოკარი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვებაში რამდენიმე დღეში გაზიფიცირების პროცესს დაასრულებს. ბუნებრივ აირს სოფლის მაცხოვრებლების უდიდესი ნაწილი მიიღებს.

როგორც სოფელ გამარჯვების ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ელგუჯა წიკლაური გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, სოფლის გაზიფიცირების სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დასასრულს უახლოვდება და მაისის მეორე ნახევარში გამარჯვებელები ბუნებრივ აირს მიიღებენ. რწმუნებულის განმარტებით, ცისფერი ალის გარეშე მხოლოდ სოფლის ორი პატარა უბანი დარჩება, თუმცა ქსელში ჩართვა იქაც იგეგმება.

„ადგილობრივი მაცხოვრებლების ძირითადი მოთხოვნა გაზიფიცირების საკითხის მოგვარება იყო. საქმე იმაშია, რომ მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები ჩვენს სოფელში წლების მანძილზე ჭიანურდებოდა და მოსახლეობის უკმაყოფილებისა და პროტესტის მიზეზი ხშირად ხდებოდა. ახლა კი, სამუშაოების დასრულება მოხერხდა და წლობით ნანატრ ბუნებრივი აირის სიკეთეს სოფელ გამარჯვების მაცხოვრებლებიც სულ მალე გამოცდიან,“ - აღნიშნავს სოფლის რწმუნებული.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ამ დრომდე ბუნებრივ აირს სოფელ გამარჯვების 20-მდე ოჯახი იღებდა. ადგილობრივების განმარტებით, ბუნებრივი აირი წელიწადნახევარია მხოლოდ სოფლის ცენტრალური უბნის მაცხოვრებლებს მიეწოდებათ. ამ ინფორმაციას ჩვენთან საუბარში სოფლის რწმუნებულ ელგუჯა წიკლაურიც ადასტურებს.

„მთელი სოფლის მასშტაბით მილების ჩაფენა უკვე დასრულებულია, „სოკარის“ სპეციალისტების მიერ შემოწმებაც ჩაუტარდა. ბოლო დროს მოსახლეობის თხოვნა მუდმივად ბუნებრივი აირით უზრუნველყოფას ეხებოდა. ეს პრობლემა ჩვენს სოფელში მწვავედ იდგა და მადლიანი საქმე გაკეთდა. ამჟამად მაგისტრალის გარეშე მხოლოდ ორი პატარა უბანი გვრჩება, სადაც სულ ათამდე ოჯახი ცხოვრობს. მათ საკითხზეც ვმსჯელობთ და ვფიქრობ, დარჩენილი ნაწილის დასრულებასაც მალე დაიწყებენ,“ - ამბობს რწმუნებული.

სოფლის მაცხოვრებლები განხორციელებულ სამუშაოებს „შირაქთან“ საუბარში დადებითად აფასებენ და ამბობენ, რომ მათთვის გაზიფიცირების საკითხი პრინციპულად მნიშვნელოვანია.

ყვარელში „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაფუძნდა

10 მაისს ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება“ დაფუძნდა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, თანამედროვე სამყაროში კომპიუტერის ცოდნის გავრცელება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მე-19 საუკუნის მიწურულს წერა-კითხვის სწავლება და გავრცელება იყო.

ღონისძიებას დაესწრნენ საზოგადო მოღვაწეები, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, აგრეთვე - ბიზნესსწრეების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაიმართა სპეციალური თეატრალური წარმოდგენა.

ღონისძიების მიზანია, „კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების“ მნიშვნელობის განსაზღვრა და ყველა დაინტერესებული ადამიანის ჩართვა ამ საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების ცელებაში.

„კომპიუტერის ცოდნის ცელებელი დოების“ სახლ-მუზეუმში დაფუძნებოლურია, სწორედ ჭავჭავაძის თაოსნობით, მე-19 საუკუნის მიწურულს ქართული საზოგადოების ყველაზე პროგრესულმა და თვალსაჩინო წარმომადგენლებმა წერა-კითხვის ცოდნა მიიჩნიეს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ამის საპასუხოდ, 1879 წელს დაფუძნდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის საქმიანობამ ფასდაუდებელი გავლენა მოახდინა განათლების ეროვნული სისტემის ჩამოყალიბებაზე და უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქართულ საზოგადოებაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივების საქმეში“, - აღნიშნეს იუსტიციის სამინისტროში.

„კომპიუტერის ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას“ კოლეგიური ორგანო, 5-დან 15 წევრამდე შემადგენლობის მმართველი საბჭო განაგებს, რომელიც არჩევითია.

გიორგობის დღესასწაულზე ჰერეთთან

6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე, კახეთის მხარის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი, ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი და პარლამენტის წევრი, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ავთანდილ ლეკაშვილი ისტორიულ ჰერეთს სტუმრობდნენ.

ოფიციალურმა პირებმა კახის რაიონში ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის მართლმადიდებლური ეკლესია მოინახულეს და იქ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობას გიორგობა პირადად მიულოცეს.

პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში, გიორგი ღვინიაშვილმა მადლობა გადაუხადა კახის მოსახლეობას ქართული ენის, ტრადიციების, სარწმუნოების შენარჩუნებისა და მომავალი თაობების ამ ტრადიციების ერთგულებით აღზრდისთვის.

გიორგი ღვინიაშვილის განმარტებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ქართულ სკოლებსა და ქართულენოვანი სწავლების სექტორში 2 452 მოსწავლე სწავლობს.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საინგილოს განსაკუთრებით ხშირად სტუმრობს, გიორგობის დღესასწაულზე ქურმუხის ტაძრის მოლოცვა კი რაიონის ხელმძრვანელობამ ტრადიციად აქცია.

ღატაკებისთვის სარეიტინგო ქულებზე ლოდინის ვადები შემცირდა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ბრიფინგი გამართა, სადაც ახალი ინიციატივა გაახმოვანა. საქართველოს მთავრობამ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის კუთვნილი დახმარების მიღების მოცდის პერიოდის შემცირებასთან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება.

ადრე მოქალაქე, რომელსაც მიზნობრივი სოციალური დახმარების მიღებისთვის საჭირო სარეიტინგო ქულა ენიჭებოდა, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისს 5-6 თვის შემდეგ იღებდა, ხოლო ფულადი შემწეობა მას 3-თვიანი ლოდინის შემდეგ ეძლეოდა.

მთავრობის ამ გადაწყვეტილებით, მოცდის პერიოდი მნიშვნელოვნად შემცირდა. აღნიშნული ცვლილება ძალაში 1 ივლისიდან შევა. სოციალური დახმარების მიმღები ბენეფიციარები ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისითა და საარსებო შემწეობით სარგებლობას სარეიტინგო ქულის მინიჭებიდან, მაქსიმუმ 2 თვის შემდეგ შეძლებენ.

თვითმკვლელობა ზემო ქედში

სუიციდის მორიგი შემთხვევა დაფიქსირდა დედოფლისწყაროში. სოფელ ზემო ქედში მცხოვრები 31 წლის თემურ ყველაიძე, 6 მაისს საღამოს, საკუთარი საცხოვრებელი ბინის სარდაფში თოკზე ჩამომხრჩვალი ნახეს.

როგორც „შირაქს“ ყველაიძეების მეზობლებმა განუცხადეს, მამაკაცმა თვითმკვლელობა ადრეც სცადა. წინა შემთხვევის დროს მან სანამლავი დალია, თუმცა მაშინ მისი გადარჩენა მოხერხდა.

ზემო ქედის მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ უკანასკნელად მამაკაცი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი შენიშნეს. მათი მტკიცებით, ყველაიძე ალკოჰოლური თრობის შემთხვევაში მუდმივად თვითმკვლელობაზე საუბრობდა.

„შირაქის“ ინფორმაციით, გარდაცვლილის ოჯახი უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს. მამაკაცი დაქორწინებული არ გახლდათ. ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა თვითმკვლელობის მიზეზი სწორედ ეკონომიური პრობლემები, ან სიყვარული გამხდარიყო. სოფელში მომხდარზე საუბარი უჭირთ. გარდაცვლილის ოჯახი კი დაკრძალვისთვის საჭირო ხარჯების არარსებობაზე საუბრობს.

ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე დედოფლისწყაროში ეს თვითმკვლელობის უკვე მეოთხე შემთხვევაა. მომხდართან დაკავშირებით შს დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონულ სამმართველოში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

მიხეილ სააკაშვილი აეროპორტთან ვენახის გაშენების ინიციატივით გამოდის

საქართველოს პრეზიდენტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ვენახის გაშენების ინიციატივით გამოდის. მიხეილ სააკაშვილის თქმით, ქართველები სულ ამბობენ, რომ საქართველო ღვინის ქვეყანაა, მაგრამ ტურისტი ჩამოსვლისას ამას ვერ ხედავს.

„მერიას ვთხოვ, აეროპორტთან გამოყოს დიდი მიწა, დავრგოთ ძალიან დიდი ვენახი და გავანათოთ, რადგან ღამე სტუმარი რომ ჩამოვა, პირველი, რასაც დაინახავს, ვენახი იყოს. ყველა ჩამოსულ სტუმარს ერთი პატარა ბოთლი ვაჩუქოთ, რომ თან წაიღოს სუვენირად. ბავშვებს უნდა ვასწავლოთ ღვინის დაყენება, რადგან საქართველოში არ უნდა იყოს არც ერთი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა, სადაც შეიძლება იყოს ვენახი. ვენახმა ძალიან გამიტაცა. ის ჩვენი ნაციონალური იდეოლოგიის ნაწილია“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილის აზრით, საქართველოს სკოლებში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ორი რამ - ცეკვა და მეღვინეობა.

გურჯაანს ახალი გამგებელი ჰყავს

გურჯაანის მუნიციპალიტეტს ახალი გამგებელი ჰყავს - საკრებულოს თავმჯდომარე ზაქარიაია-განაშვილმა გამგებლის თანამდებობაზე დავით მესხიშვილის კანდიდატურა წარადგინა.

როგორც რადიო “ჰერეთს” გაზეთ “კახეთის ხმიდან” აცნობეს, დეპუტატთა უმრავლესობამკანდიდატურას მხარი დაუჭირა. ახალი გამგებლის, დავით მესხიშვილის თქმით, საჯაროსამსახურში მუშაობა ჯერ კიდევ 2001 წლიდან ერთ-ერთ საჯარო დაწესებულებაშისტაჟიორობიდან დაიწყო.

“შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დაბალი საფეხურიდან დავიწყე მუშაობა. ვმუშაობდიუზენაეს სასამართლოში, შემდეგ ვიყავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს დარბაზისმეთვალყურე, ბოლოს კი სხდომის მდივანი. 2005 წელს გადავედი შინაგან საქმეთასამინისტროში, ვმუშაობდი იურიდიულ სამმართველოში უფროს ინსპექტორად. 2006წლიდან ვიყავი საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსისმოადგილე, ხოლო 2008 წლიდან დღემდე შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისადმინისტრაციის უფროსი”, - განაცხადა გურჯაანის ახალმა გამგებელმა დავით მესხიშვილმა.

გურჯაანში გამგებლის თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც შოთა უტიაშვილმათანამდებობა 2011 წლის დეკემბერში დატოვა. შეგახსენებთ, რომ ამ დრომდე გამგებელი არ ჰყავს სიღნაღის მუნიციპალიტეტს.

საველე სწავლება – კალიების წინააღმდეგ

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დამცველების მონაწილეობით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა ტერიტორიებზე კალიების გავრცელების გამოკვლევების ძირითად პრინციპებთან დაკავშირებული რეგიონალური სწავლება გაიმართა. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს პრეს-ცენტრიდან „შირაქს“ აცნობეს, სპეციალისტთა ჯგუფი დედოფლისწყაროს 8 მაისს სტუმრობდა.

საველე ტრენინგში მონაწილეობას ქართველ სპეციალისტებთან ერთად აზერბაიჯანელი და სომეხი მცენარეთა დამცველებიც იღებდნენ. ღონისძიება FAO-ს (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) პროექტის „კალიების კონტროლის გაუმჯობესება ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში” — ფარგლებში განხორციელდა.

ტრენინგში ასევე მონაწილეობდა FAO-ს ექსპერტი საიდ ლაგნაუი. ძირითადი განსახილველი თემები იყო სანავიგაციო სისტემების გამოყენების შესწავლა, მათი დახმარებით გამოკვლეული ფართობების აღნიშვნა და გამოანგარიშება, შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენა, რუკაზე დატანილი კოორდინატების განსაზღვრა, განსაზღვრული ფართობების მოძიება და გამოკვლევებისათვის საჭირო სხვა ქმედებები.

შეგახსენებთ, გასულ კვირას იტალიური კალიის მასობრივი გავრცელების ფაქტი გამოვლინდა ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც. სპეციალისტები შესაბამის სამუშაოებს უკვე იწყებენ.

ასე იმარჯვებს მზე გაზაფხულის...

9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა. ექვს ათეულ წელზე მეტია, ეს თარიღი აღინიშნება ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებულად კი მაინც პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჰიტლერს, რომელიც მსოფლიო ბატონობის მანიით იყო შეპყრობილი, და რომელმაც თითქმის ნახევარი ევროპა დაიპყრო, საბჭოთა კავშირის გასანადგურებლად შემუშავებული ჰქონდა გეგმასახელწოდებით ,,ბარბაროსა'' რომლის მეშვეობითაც იგი საბჭოთა კავშირის უმოკლეს დროში დამარცხებას ითვალისწინებდა, თუმცა გეგმა მოსკოვის კედლებთან ჩაიშალა.

ორი წლის მანძილზე გერმანია ცდილობდა წელში გაეტეხა საბჭოთა კავშირი, მაგრამ ამაოდ. საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვანმა არმიამ შეძლო თავისი საზღვრებიდან გაედევნა ფაშისტური არმია, და ბოლომდე გაანადგურა კიდეც, მაგრამ ეს დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა. 1945 8 მაისს ქართველმა ქანთარიამ და რუსმა ეგოროვმა გერმანიაში რაიხსტაგის თავზე საბჭოთა კავშირის დროშა აღმართეს.

ამ ომს ქართველების გარეშე არ ჩაუვლია. 700 ათასამდე ქართველი იბრძოდა, რომელთა ნახევარიც კი ვერ დაბრუნდა სამშობლოში. მაშინ უამრავი ქართველი მონაწილეობდა ამ ომში, თან ისეთი თავგანწირვით, როგორითაც მხოლოდ საკუთარ მიწა-წყალს დაიცავდა. არც იყო გასაკვირი, მაშინ ხომ საბჭოთა იმპერია ერთ დიად სამშობლოსთან ასოცირდებოდა. დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, უნდა აღინიშნებოდეს თუ არა 9 მაისი, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღე. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტი აქვს, მაგრამ ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ დღის აღნიშვნა პირველ რიგში იმ ადამიანების პატივისცემაა, ვინც ამ ომში იბრძოდა. ზოგმა სიცოცხლე ბრძოლის ველზე დაასრულა, ზოგიერთი კი ომის ჭრილობებს, ფიზიკურსა თუ სულიერს, წლობით იშუშებდა.

სამოცდაშვიდი წელი გავიდა სამამულო ომის დამთავრებიდან. 9 მაისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში 52 ვეტერანმა იზეიმა გამარჯვების დღე. მათ საპატივსაცემოდ ყველა სოფელში გაიმართა კონცერტი და ტრადიციული სადღესასწაულო სადილი.

ქალაქ დედოფლისწყაროს, სოფელ სამრეკლოსა და ხორნაბუჯის სამამულო ომის ვეტერანები დედოფლისწყაროს შინმოუსვლელთა მემორიალთან, ტრადიციულად, წელსაც შეიკრიბნენ. ახალგაზრდებმა ყვავილებით და გვირგვინებით შეამკეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი. ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან ბაღაშვილმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ შანშიაშვილმა,ავთანდილ ლეკაშვილმა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარმა დეპუტატმა დედოფლისწყაროდან. საკრებულოს და გამგეობის, ტერიტორიული ორგანოების და სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე ვეტერანებმა საბრძოლო ეპიზოდები გაიხსენეს. საზეიმო კონცერტში, რომელიც დედოფლისწყაროს კულტურისა და სპორტის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა, მონაწილეობდნენ ფოლკლორულიანსამბლები: ,,ხორნაბუჯი", ,,ქიზიყი", ,,მანდილი" და ,,იმედი".

ინგა შიოლაშვილი

ომის ქრონიკა

აზიაში ის დაიწყო მეორე იაპონია-ჩინეთის ომით 1937 წლის 7 ივლისს და ევროპაში გერმანიის თავდასხმით პოლონეთზე 1939 წლის 1 სექტემბერს. საომარი მდგომარეობა ევროპაში დასრულდა 1945 წლის 8 მაისის ვერმახტის კაპიტულაციით, ხოლო აზიაში -- 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით.

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანია, იტალია და იაპონია აწარმოებდნენ დამპყრობლურ ომებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წინააღმდეგ. მათი მთავარი მოწინააღმდეგეები იყვნენ: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთის რესპუბლიკა, რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის დარღვევის შემდეგ საბჭოთა კავშირი და იაპონიის პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები.

მეორე მსოფლიო ომის ძირითადი ბრძოლის ადგილი იყო: აზია, წყნარი ოკეანის აუზი, ევროპა და ჩრდილოეთ აფრიკა. საომარი შეტაკებები მიმდინარეობდა აგრეთვე ჩრდილოეთ ამერიკაში (არქტიკა) ალასკასა და გრენლანდიაზე, ახლო აღმოსავლეთში - ერაყსა და ირანში, აღმოსავლეთ აფრიკაში - ეთიოპიასა და სომალიში, აგრეთვე სამხრეთ ამერიკაში (სურინამის დაპყრობა), ტიბეტში (ტოლსტოი-დოლანის მისია) და ანტარქტიდაზეც კი (ოპერაცია ტაბარინი).

მეორე მსოფლიო ომმა იმსხვერპლა 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის 20 მილიონამდე მშვიდობიანი მოსახლის. ომის სულისკვეთება გაჟღენთილი იყო მძლავრი იდეოლოგიზმით, რამაც ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატიური ძალადობა გამოიწვია, რომელიც გენოციდშიც კი გადაიზარდა.

ომისწინა პერიოდი

XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში ევროპის ბევრი სახელმწიფო ტოტალიტარული რეჟიმის მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. 1922 წელს იტალიისსათავეში ბენიტო მუსოლინი და ფაშისტური პარტია მოექცა. მათი ექსპანსიური საგარეო პოლიტიკის შედეგი იყო ეთიოპიის (1936) და ალბანეთის(1939) დაპყრობა იტალიის მიერ.

გერმანიაში ამ პერიოდში ძლიერდებოდა ნაცისტური პარტია, რომელმაც საბოლოო გამარჯვებას 1933 წლის არჩევნებში მიაღწია და პარტიის ლიდერი, ადოლფ ჰიტლერი გერმანიის კანცლერი გახდა. ჰიტლერის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო „ვერსალის ზავის" წინააღმდეგ, მიზნად ისახავდა ე.წ. „გროსდოიჩე რაიხის" შექმნას და „საარსებო გარემოს" მოპოვებას აღმოსავლეთში.

ზაარის მხარის (1935), რაინის ოლქის (1936), ავსტრიის (1938) და სუდეტის მიწების (1938) მიერთებით ჰიტლერმა თავისი გეგმის პირველი ორი პუნქტი მეტ-ნაკლებად შეასრულა. ინგლისისა და საფრანგეთის დათმობითმა პოლიტიკამ ყოველივე ამას დიდად შეუწყო ხელი. მაშინაც კი, როცა გერმანიამ ჩეხეთი მთლიანად შეიერთა (1939 წლის მარტი) ინგლისი და საფრანგეთი მხოლოდ პროტესტის ნოტით დაკმაყოფილდნენ.

ამ მოვლენებიდან მცირე ხნის შემდეგ ლიტვამ გერმანიას დაუთმო მემელის მიწები, სლოვაკეთი დამოუკიდებელი დარჩა, თუმცა გერმანიის პატრონაჟის ქვეშ. ძნელი მისახვედრი არ იყო რომ ამ ქვეყნების შემდეგ ჯერი პოლონეთზე მიდგებოდა. ამის საპირისპიროდ პოლონეთის, საფრანგეთის და ინგლისის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას.

1939 წლის აგვისტოში ყველასთვის მოულოდნელად გერმანიამ და სსრკ-მ ხელი მოაწერეს „ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტს„ (ე.წ. „რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტი"), რომლის დამატებით, საიდუმლო პროტოკოლში ზუსტად იყო განსაზღვრული ამ ორი ქვეყნის ტერიტორიული ამბიციები აღმოსავლეთ ევროპის დაპყრობის შემთხვევაში. პოლონეთი გერმანიასა და სსრკ-ს შორის უნდა გაყოფილიყო, ხოლო ბალტიის ქვეყნები და ფინეთისსრკ-ის „ინტერესების სფეროდ" ცხადდებოდა.

იაპონიის ექსპანსიური პოლიტიკა XX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. ამ ქვეყნის უმთავრესი ინტერესი ჩინეთის რესპუბლიკა იყო, რომლის ჩრდილოეთი რეგიონი, მანჯურია, 1931 იაპონიის მიერ იქნა ანექსირებული და მანშუს პროტექტორატის სახელით მისი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. საერთაშორისო პროტესტის გამო იაპონიამ დატოვა „ერთა ლიგა" 1933 წელს და 1936 წელს შეუერთდა „ანტიკომინტერნის პაქტს„.

1937 წელს დაიწყო იაპონია-ჩინეთის მეორე ომი. ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ იაპონიას ინდოჩინეთის დაპყრობის საშუალება მისცა. ამის საპასუხოდ აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა იაპონიას ემბარგო დაადეს და შეუწყვიტეს ფინანსური დახმარება. 1940 წელს იაპონია შეუერთდა„ბერლინი-რომის პაქტს". ემბარგოს გამო იაპონიის ეკონომიკა რესურსების დიდ ნაკლებობას განიცდიდა და იმპერატორის სამხედრო წრე ერთადერთ გამოსავალს ამ კრიზისიდან აშშ-სა და ბრიტანეთის წინააღმდეგ ომში ხედავდა.

ომის მიზნები

მეორე მსოფლიო ომი ევროპაში იყო გერმანიის მიერ წამოწყებული დამპყრობლური და გამანადგურებელი ომი აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს" (გერმ. „Lebensraum") მოპოვების მიზნით. გერმანიის საგარეო პოლიტიკის სავარაუდო სქემის ძირითად კომპონენტებს შეადგენდნენ:

- კავშირი იტალიასა და იაპონიასთან;
- ბრძოლა გერმანიისთვის გამანადგურებელი შედეგების მომტან ე.წ. „ებრაულ მსოფლიო შეთქმულების" წინააღმდეგ;
- ანტიბოლშევისტური გამანადგურებელი ბრძოლა აღმოსავლეთში „საარსებო გარემოს" მოპოვებისათვის და დაპყრობილი ტერიტორიების გერმანელებით დასახლება.

გერმანიის საბოლოო მიზანი იყო მსოფლიოში გაბატონებული პოზიციის მოპოვება. „გერმანია იქნება მსოფლიოში გაბატონებული ძალა ან საერთოდ არაფერი არ იქნება" წერდა ჰიტლერი თავის წიგნში „მაინ კამპფი".

დაპყრობილი საბჭოთა კავშირი უნდა დაყოფილიყო სხვადასხვა ოლქებად რაიხსკომისრების მმართველობის ქვეშ. აქედან ბელორუსები, უკრაინელები და ბალტიისპირეთის ხალხები „საარსებოდ ვარგისად", ხოლო რუსები კი „დაბალ რასად" იქნენ შეფასებულნი. დაპყრობილი აღმოსავლეთ ევროპა დასახლებული უნდა ყოფილიყო გერმანელი გლეხებით და ჯარისკაცებით, ე.წ. „შეიარაღებული გლეხებით" (გერმ. "Wehrbauern"). ნაცისტური ელიტის განზრახვით აღმოსავლეთ ევროპის ხალხები, მათი სამოქალაქო ელიტის განადგურების შემდეგ, უნდა დარჩენილიყვნენ „გაუნათლებლები, მორჩილნი და გამრჯე" და ემუშავათ გერმანიისათვის.

1933 წლამდე ეს იდეები სერიოზულად არავის მიუღია, თუმცა ჰიტლერის პოლიტიკა სხვა არაფერი იყო თუ არა ამ გეგმის ეტაპობრივი განხორციელება. 1936 წლის აგვისტოში მიღებული „ოთხწლიანი გეგმა" ითვალისწინებდა გერმანიის არმიის და ეკონომიკის საბრძოლო ვითარებისათვის მომზადებას ორი განსხვავებული ვარიანტისათვის: 1) 1941-1942 წ.წ. - გერმანიისათვის პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით არახელსაყრელი ვარიანტი. 2) 1944-1945 წ.წ. - შედარებით ხელსაყრელი ვარიანტი.

1937 წლის 5 ნოემბერს ჰიტლერმა თავისი გეგმები დაწვრილებით და დაზუსტებით წარუდგინა ვერმახტის გენერალიტეტს.

მეორე მსოფლიო ომის შედეგები

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი გავლენა იქონია კაცობრიობის ბედზე. გერმანია, იტალია და იაპონია გამოეთიშნენ მსოფლიოს, როგორც ძლიერი სახელმწიფოები. ევროპაში გადამწყვეტი როლი აშშ-ს და მსოფლიოში ახლად გაბატონებულ სსრკ-ს ჰქონდათ მას შემდეგ, რაც 1940 გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, ხოლო დიდი ბრიტანეთი უძლური იყო დაემარცხებინა გერმანია. ომშიმონაწილეობდა 72 სახელმწიფო (დედამინის მოსახლეობის 80%). ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ. კაცი. დაიღუპა 62 მლნ. კაცი (სსრკ - 27 მლნ., გერმანია - 5,25 მლნ., პოლონეთი - 4,5-6 მლნ., იუგოსლავია - 1,7 მლნ., იაპონია - 1,8 მლნ., აშშ - 318.000, დიდი ბრიტანეთი - 386.000, საფრანგეთი - 810.000, იტალია - 330.000, რუმინეთი - 378.000, უნგრეთი - 420 000, ფინეთი - 84 000), სამხედრო ხარჯები და ზარალი 4 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

ომს თან სდევდა საშინელი ნგრევა. განადგურდა ათიათასობით ქალაქი და სოფელი, უბედურება თავს დაატყდა ათეულობით მლნ. ადამიანს. ამ ომში საბოლოოდ განადგურდა ფაშიზმი, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის დამკვრელი ძალა. ომმა ცხადყო სოციალიზმისა და სსრკ-ის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველობა. ანტიჰიტლერულიკოალიცია გადამწყვეტმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო რევოლუციურ გარდაქმნებს მსოფლიოს მრავალ ქვეყნებში. მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა გაადვილა და დააჩქარა მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების გამარჯვებას. სოციალიზმის გზას დაადგა ევროპის ქვეყნები (100 მლნ. კაცი). კაპიტალისტურ სისტემას ჩამოსცილდა აზიის სახელმწიფოები (1 მლნ. კაცი), სოციალიზმი იქცა მსოფლიო სისტემად. კაპიტალისტურ ქვეყნებში დაჩქარდა ხალხის მასების გარევოლუციურების პროცესი, გაიზარდა კომუნისტური და მუშათა პარტიების გავლენა, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა ავიდა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. სსრკ-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში.

მეორე მსოფლიო ომი წარმოადგენს უდიდეს ეტაპს სამხედრო ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

მიწისძვრას დედოფლისწყაროში ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია

7 მაისს გამთენიისას ძლიერი მიწისძვრის შემდეგ პანიკა შეინიშნებოდა დედოფლისწყაროში. მოსახლეობა მიწის ძლიერმა რყევამ შეაშფოთა.



სეისმოლოგიური სამსახურის დაზუსტებული ინფორმაციით, 7 მაისის მიწისძვრის ეპიცენტრი აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრიდან 25 კილომეტრში დილის 8:41 საათზე დაფიქსირდა. რყევები ეპიცენტრში 7 ბალს აღწევდა. საქართველოში, მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 5.7 მაგნიტუდა შეადგინა. რყევები თბილისშიც საგრძნობლად შეინიშნებოდა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრმა მანამდე გაავრცელა ინფორმაცია, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი კახეთში, დედოფლისწყაროს რაიონთან, სოფელ ყარაღაჯთან დაფიქსირდა.

ამასთან, ქართველი სეისმოლოგების ცნობით, ასეთი სიმძლავრის მიწისძვრას შეუძლია, ძველი და ამორტიზებული შენობების ნგრევა გამოიწვიოს, თუმცა ამ დრომდე საქართველოში ნგრევის ან სხვა რაიმე ზარალის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

კახეთის რეგიონული მედიის ცნობით, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მომხდარი მიწისვძვრის შედეგად, სიღნაღის რაიონის სოფელ ყარაღაჯში საცხოვრებელი კორპუსი დაზიანდა. ყარაღაჯში საერთო საცხოვრებელ კორპუსში 12 ოჯახი ცხოვრობს. ადგილობრივების თქმით, საცხოვრებელი სახლი ავარიული იყო, თუმცა დღეს მომხდარი მიწისძვრის შედეგად ბზარები გაიზარდა. ისინი ამ დრომდე საცხოვრებელი კორპუსის ეზოში არიან შეკრებილი და განმეორებითი ბიძგების შიშით სახლებში ვერ შედიან.

მიწისძვრას კახეთის რეგონში სერიოზული ნგრევა არ მოჰყოლია. აზერბაიჯანის ზაქათალასა და ალიაბადის რაიონებში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, მიწისძვრამ შენობების ნგრევა გამოიწვია, თუმცა მსხვერპლი არ არის. რაც შეეხება კახის რაიონს, სადაც ასევე ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, როგორც საელჩოში აცხადებენ, ამ რაიონში მიწისქვეშა ბიძგები შედარებით სუსტი იყო.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ეს დედოფლისწყაროში შედარებით ძლიერი მიწისძვრა იყო. 2009 წლის შემდეგ საქართველოში მსგავსი სიმძლავრის მიწისძვრა აღარ დაფიქსირებულა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იქ სადაც 7 მაისს, დილით 5,7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, ნგრევა და მსხვერპლი არ დაფიქსირებულა. ამის შესახებ კომენტარს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი აკეთებს.

მისი თქმით, სოფლის რწმუნებულები მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავენ და ინფორმაციას იღებენ, არის თუ არა ზარალი. თუმცა, თვითმმართველობის ორგანოში ზარალის შესახებ ინფორმაცია არ შესულა.

„საკმაოდ ძლიერი ბიძგები იყო, მაგრამ ზარალის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ. ავარიული სახლების დაზიანება თუ მოხდა მომავალში გვეცოდინება. სატელეფონო ხაზები გადატვირთულია, თუმცა სოფლებთან დაკავშირება მოვახერხე. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ინფორმაცია გადავამოწმოთ," — აღნიშნავს ლევან ბაღაშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარის განმარტებით, რაიონს შეუფერხებლად მიეწოდებოდა ელექტროენერგია და მისივე მტკიცებით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რაიმე სახის შეზღუდვები არ არის.

ილია მარტყოფლიშვილი

როგორ უნდა მოვიქცეთ მიწისძვრის დროს

7 მაისის დილას საქართველოში მცხოვრები ადამიანები მიწისძვრამ შეაშფოთა, ზოგი სულაც გააღვიძა. იმ დღეს სოციალურ ქსელებსა თუ ადამიანების მოკითხვისას ყველაზე აქტუალური იყო თემა: ვინ სად და რა პოზაში შეხვდა მიწისძვრას? მოკლედ, 7 მაისს დედოფლისწყაროელებმა, და არა მარტო ჩვენ, კიდევ ერთხელ განვიცადეთ შიში და გავაცნობიერეთ, რომ „ბუნება მბრძანებელია"...

სპეციალისტების განმარტებით, 6 ბალამდე მაგნიტუდის მიწისძვრა ძლიერი არ არის, თუმცა ბიძგები საგრძნობი გახლდათ. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი დედოფლისწყაროში იყო. ამის მიუხედავად, მსგავსი სიძლიერის ბიძგები შეიგრძნეს დედაქალაქშიც. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მიწისძვრის ეპიცენტრი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან იყო. ზაქათალის რაიონში ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრა 08:40 საათზე დაფიქსირდა და მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე რიხტერის შკალით 5.7 მაგნიტუდას შეადგენდა. მიწისძვრის შედეგად კახის რაიონში სოფლების ალათემურის და მეშაბაშის ქართული სკოლის შენობებიც დაზიანდა.

ამ მიწისძვრის დროს აღმოვაჩინე, რომ რაც აქამდე მსმენია, იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოვიქცე მიწისძვრის დროს, ყველაფერი არასწორი ყოფილა. ეს "რჩევები" ნაცნობ-ახლობლებისგან მაქვს მოსმენილი და ზუსტად მახსოვს, რომ წესები არც სკოლაში და არც იმ დროს ყველაზე რეიტინგულ უმაღლეს სასწავლებელში ნამდვილად არ მისწავლია.

სეისმოლოგები და მაშველები კი დიდ გამოცდილებაზე დაყრდნობით ასეთ რჩევებს იძლევიან.

თუ შენობაში იმყოფებით

• რყევის შემთხვევაში მოძრაობა მაქსიმალურად უნდა შეამციროთ, პატარ-პატარა ნაბიჯებით გადაადგილდეთ დაცულ ადგილისკენ . უნდა დარჩეთ შენობაში, ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ მიწისძვრით გამოწვეული რყევა დასრულდა.

სტატისტიკის თანახმად, ადამიანები მიწისძვრის დროს უმეტესწილად იმიტომ იღუპებიან, რომ შენობიდან გამორბიან და მისი ჩამოქცევის შემთხვევაში ნანგრევების ქვეშ ექცევიან.

• დაწექით იატაკზე მაგიდის ან სხვა რომელიმე ავეჯის ქვეშ და მაგრად მოეჭიდეთ, სანამ რხევა არ შეწყდება.

• იმ შემთხვევაში, თუ ახლომახლო არ არის არც მაგიდა და არც სხვა მსგავსი რამ, დაწექით შენობის შიდა კუთხეში და დაიფარეთ თავი და სახე მკლავებით.

• ეცადეთ მოშორდეთ ფანჯარას, გასასვლელ კარს და ყველაფერს, რაც შეიძლება ჩამოვარდეს.

• კარის შესასვლელი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენეთ თავშესაფრად, თუ ის თქვენთან ყველაზე ახლოსაა, შენობა არ არის ძველი და დარწმუნებული ხართ, რომ მის ქვეშ თავს დაცულად იგრძნობთ.

• დარჩით შენობაში, ვიდრე რყევები არ დასრულდება

• არავითარ შემთხვევაში არ შეხვიდეთ ლიფტში.

თუ მიწისძვრის დროს ქუჩაში ხართ

• დარჩით გარეთ და მაქსიმალურად მოერიდეთ შენობებს, ქუჩის განათებებს და ელექტროსადენებს.

თუ მანქანით მოძრაობთ

• გააჩერეთ მანქანა და დარჩით ავტომობილში.

• ეცადეთ არ გაჩერდეთ შენობებთან, ხეებთან ან ელექტროსადენებთან ახლოს.

• მიწისძვრის დასრულების შემდეგ ფრთხილად გააგრძელეთ მოძრაობა და მოერიდეთ ხიდებსა და პანდუსებს, რომლებიც შესაძლოა მიწისძვრით დაზიანდა.

თუ ნანგრევებში მოყევით:

• არ აანთოთ ასანთი ან სანთებელა, რადგან შესაძლოა, დაზიანებული იყოს გაზის მილი და ცეცხლმა აფეთქება გამოიწვიოს.

• არ გაინძრეთ და ნუ ეცდებით მტვრის გაფანტვას.

• პირი დაიფარეთ ცხვირსახოცით ან ტანსაცმლით.

• დააბრახუნეთ მილზე ან კედელზე, რომ მაშველებს გაუადვილდეთ თქვენი პოვნა. გამოიყენეთ სასტვენი, თუ გაქვთ.

• დაიყვირეთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, რადგან ყვირილის დროს, შესაძლოა მომწავლელი მტვერი მოხვდეს თქვენს სასუნთქ სისტემაში.

ვისურვებდი, რომ არასოდეს დაგვჭირდეს ამ რჩევების გამოყენება, მაგრამ სჯობია, განსაცდელს ცოდნით შეიარაღებულნი შევხვდეთ.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„აგენტებმა ჯართში გაყიდული მანქანა შემოსავლად ჩაგვითვალეს და დახმარება შეგვიწყვიტეს.”

რამდენიმე ხნის წინ, რედაქციაში სოფელ ოზაანის მკვიდრი **მანანა მარტყოფლიშვილი** გვეწვია. ის თავს სოციალურად დაუცველად თვლიდა და დეკემბრის თვიდან დახმარების მოხსნას აპროტესტებდა. 35 წლის მანანა მარტყოფლიშვილის თქმით, მის სამშვილიან ოჯახს სოციალური დახმარება პოლიტიკური ნიშნით მოუხსნეს და ის სარკოზთან შეხვედრაზე წაუსვლელობის გამო ,,დასაჯეს“!

-,,სამი შვილის დედა ვარ, შუათანა ბავშვი ავადმყოფი მყავს და მუდმივად საჭიროებს ექიმის მეთვალყურეობას. სოციალურ დახმარებას ჩემი ოჯახი უკიდურესი გაჭირვების გამო ორი წლის განმავლობაში იღებდა, თუმცა, როგორც კი სარკოზის თბილისში ვიზიტზე ოჯახური გარემოების გამო უარი განვაცხადე, სოფლის რწმუნებულისგან ერთ- ერთმა მეზობელმა მაშინვე საყვედური შემომითვალა. არ ვიცი, ვინ სად რა ენა გაატარა, მაგრამ ამით უკვე ,,სიგნალი“ მივიღე, რომ მალე დახმარებას შემიწყვეტდნენ. ასეც მოხდა, მეორე კვირასვე აგენტი აგენტზე მოდიოდა ჩემს სახლში და მანამდე არ შეწყდა მათი ვიზიტები, სანამ დახმარება არ მოგვიხსნეს. მიზეზი ეზოში ჯართად ქცეული საბჭოთა დროინდელი დანგრეული მანქანის ჯართში ჩაბარება აღმოჩნდა. აგენტმა ჯართში ჩაბარებული მანქანის კარკასი წლის შემოსავლად ჩაგვითვალა, დახმარების მოხსნის საფუძვლადაც ეს გარემოება დასახელდა.“- ცრემლმორეული გვიყვებოდა თავის გასაჭირს ქალბატონი.

მისივე თქმით, როცა სოფლიდან საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლას სარკოზის შეხვედრაზე წასვლა შესთავაზეს, სწორედ მაშინ, კერძო პირის ნაკვეთშისამუშაოდ იმყოფებოდა და ამ მიზეზით ვერ შეძლო წასვლა.

-,,იმისთვის, რომ ჩემს სამ შვილს ელემენტარული საჭიროების საკვები და ჩაცმა არ მოაკლდეს, მე და ჩემი მეუღლე ყველაფერს ვეჭიდებით, ამის გამო მინდორში კერძო მუშად მუშაობასაც არ ვთაკილობ, მაშინ სწორედ ხახვის სათოხში დავდიოდი, რადგან გამოუვალი მდგომარეობა მქონდა. ისე გვიჭირდა ,ბავშვებს სკოლაში წასაღები რვეულის ფულიც არ ჰქონდათ, მეც ამინდს და სამუშაოს დავეშურე, განა ამის გამო შეიძლებოდა დავესაჯეთ? აგენტმა წლის შემოსავლად ჯართში ჩაბარებული მანქანა რომ ჩამითვალა, ის თანხა ბავშვის საოპერაციოდ მჭირდებოდა და იმაში გამოვიყენეთ. ავადმყოფ ბავშვს ხომ კარგი კვება და ხელშეწყობა სჭირდება, რომ გამოვაჯანმრთელო. ახლა დახმარების მოხსნა შეიძლებოდა?“- აცხადებს მარტყოფლიშვილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ ვესაუბრეთ გამგებლის რწმუნებულს სოფელ ოზაანში **სოსო თევზაძეს,** რომელიც პოლიტიკური ნიშნით ოჯახის „დასჯის“ ფაქტს გამორიცხავს: - ,,აბსოლუტურად ცრუ ბრალდებაა, მარტყოფლიშვილების ოჯახის დიასახლისს, ისე როგორც ყველა აქაურ მოსახლეს და მსურველს, მასაც შევთავაზეთ ქალაქში წამოსვლა, თანაც , იცით თქვენ, რომ ეს სასიამოვნო და სადღესასწაულო შეხვედრა გახლდათ, წამოსვლა ნებაყოფლობითი იყო და არავისთვის დაგვიტანებია ძალა. იმდენმა თანასოფლელმა გამოთქვა შეხვედრაზე დასწრების სურვილი, რომ გამორიცხულია, მე, სოსო თევზაძეს, ვინმესთვის რაიმე მეიძულებინა. რაც შეეხება იმას, თითქოს სოციალური დახმარება ამ ნიშნით მოეხსნათ, ან სოფლის ხელმძღვანელობა მასში ყოფილიყო ჩართული, სრული აბსურდია. ეს ასე არ ხდება!- ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ასეთ ფაქტებს, დიდი ხანია, აღარ აქვს ადგილი. თუ მაინცდამაინც მარტყოფლიშვილებზე ნიშნის მოგების სურვილი ,,მკლავდა“, როგორც ეს მათ ჰგონიათ, მაშინ ამ ქალბატონის მეუღლეს გავათავისუფლებდით სამსახურიდან, რომელიც ჩვენი საკრებულოს მიერაა დასაქმებული. ის ოზაანის წყალსაცავზე მუშაობს, სოციალური დახმარების და სახელმწიფო სუბსიდიების სააგენტო კი, ცალკე სამსახურია და ის თავის სამინისტროს ექვემდებარება. მასთან ჩვენ არანაირი შეხება არ გვაქვს, ასე რომ, პირადად მე არავინ დამისჯია, არც პოლიტიკური ნიშნით და არც სხვაგვარად. ამას, ჩემი მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, არც გავაკეთებდი და არც ვიკადრებდი!“--აცხადებს ბატონი სოსო თევზაძე.

აღნიშნულ საკითხზე გაზეთი ,,შირაქი“ ასევე დაუკავშირდა სოციალური დახმარების და სახელმწიფო სუბსიდიების დედოფლისწყაროს სააგენტოს უფროსს *ზურაბ ზურაშვილს* -,,არასოდეს არ მქონია შემთხვევა,არც ვინმეს მიუთითებია, რომ ვინმე პოლიტიკური ნიშნით განგვესხვავებინოს, ჩვენ სრული კანონის დაცვით ვმოქმედებთ და საკმაო დიდი დატვირთვით ვმუშაობთ. მერწმუნეთ, რომ ამგვარი ბრალდება სრულიად უსამართლო და უადგილოა ჩვენი სამსახურის მიმართ“-აცხადებს ზურაშვილი. მანვე ეს საკითხი მარტყოფლიშვილების ოჯახში შესულ აგენტთან ერთად განიხილა. - ,,ამ ოჯახში მე გახლდით და ყველაფერი ძალიან კარგად მახსოვს. პირველ რიგში მარტყოფლიშვილების ოჯახს გეგმიური გადამოწმება უწევდა, ამასთან , მქონდა ინფორმაციაც, რომ მათ ეზოში ორი მანქანა იდგა, რაც პირველი შემოწმებისას არ აღნუსხულა,აქედან გამომდინარე, ვალდებული ვიყავი ოჯახი გადამემოწმებინა. შემოწმებისას ეზოში ერთი ავტომანქანა დამხვდა, როცა ვიკითხე, თუ სად იყო მეორე მანქანა, თვითონვე მითხრეს, რომ გავყიდეთო, ეს, რა თქმა უნდა, დავაფიქსირე, თუმცა, ანკეტაში ის არ ჩანს, რომ მათ გაყიდული მანქანის თანხა ბავშვის ოპერაციისთვის გამოიყენეს. ამ ოჯახის ერთ-ერთი ბავშვი მართლა ავადაა და მე, ადამიანური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ დახმარება გაუგრძელდეთ, მაგრამ, ყველაფერი რაც ჩავიწერე, პირადად დიასახლისმა მიკარნახა,. ჩანაწერი მასაც წავუკითხე, ის დაეთანხმა და ხელიც თავად მოაწერა. შედეგად აღმოჩნდა, რომ მაღალი ქულები მიიღეს,რამაც დახმარების შეწყვეტა გამოიწვია. ამჯერად მარტყოფლიშვილების ოჯახის გადამოწმების შესახებ, ჩვენი ზემდგომებიდან კვლავ გვაქვს მოსული წერილი. ამასთან, ოჯახის დიასახლისი ლილი მარტყოფლიშვილი პენსიონერი გახდა და ამ მხრივაც ითვალისწინებს გადამოწმებას. ამდენად კიდევ ერთხელ ვეწვევით მათ ოჯახს.მაღალი მოვა ქულები თუ დაბალი, წინასწარ ვერ განვსაზღვრავთ, ღმერთმა ქნას ყველფერი მათ სასიკეთოდ განვითარდეს და დახმარება მიიღონ.“-აცხადებს სოციალური აგენტი.

როგორც უბნის სამედიცინო პუნქტში გავარკვიეთ, მარტყოფლიშვილების სამი ბავშვიდან ერთ-ერთი მართლაც ავადაა და მის ავადმყოფობას ,,ცელიაკია“ ეწოდება. ეს ის შემთხვევაა, როცა ორგანიზმში ჭარბი სახამებელია და მას პურის ნაწარმის მიღება საერთოდ ეკრძალება. მედიკოსები ასეთ დროს პურს მჭადით ანაცვლებენ და პაციენტს მუდმივ დიეტასა და მეთვალყურეობას უნიშნავენ. ცხადია, მდგომარეობა მართლაც მძიმე და გულის ამაჩუყებელია, თუმცა ხდება ისეც, რომ სააგენტოს კომპიუტერი, რომელიც ცივი გონებით ითვლის და საზღვრავს აღნიშნულ მონაცემებს, ადამიანი არ არის, რომელსაც გული და მგრძნობელობა ჰქონდეს, რათა ჰუმანურობა გამოიჩინოს, რაიმე ნიშნით მაინც შეიბრალოს და მათი სასურველი ქულები დაუწეროს. პრინციპი სხვაში მდგომარეობს, მონაცემები სწორად უნდა ჩაიწეროს და გაითვალოს.

ლალი მეხრიშვილი

გეკუთვნით, მაგრამ არ გეკუთვნით

(პირველი გვერდიდან)

კითხვაზე, დადებითი შეფასების მიუხედავად მოულოდნელად პროექტს გამოთიშულ მონაწილეებს აქვთ თუ არა რაიმე შანსი, ძალები „ნიჭიერის“ მომდევნო სეზონზე მოსინჯონ, ტელეკომპანიაში აცხადებენ, რომ ამ მონაწილეებს შეუძლიათ ქასთინგში ხელახლა მიიღონ მონაწილეობა, ამჟამად მიღებული ქულები კი მომავალ წელს მათთვის შეღავათი ვერ გახდება.

„ვნანობ, რომ მონაწილეობა მივიღეთ. ახლა რომ ვაანალიზებ, ჩვენი გამოსვლა ეთერში რომ გაეშვათ, უმრავლესობა ისეთი მონაწილეები იყვნენ, ალბათ უფრო შეურაცხყოფილი ვიქნებოდით. გულწრფელად გითხრათ, თავიდანვე არ მინდოდა და ამ პროექტისკენ გული არ მიმიწევდა. ვფიქრობ, რომ ქართული ცეკვა და სიმღერა ამ პროექტს ნამდვილად არ შეეფერება. მათ ქმედებიდან აშკარაა, რომ შოუ სჭირდებოდათ. სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა ორჯერ ჩაგვიყვანეს თბილისში, 4 „კი“ დაგვიწერეს და მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ არსად დავფიქსირდით. ანსამბლის მონაწილეებისთვის ეს იმხელა შოკი იყო, რომ რამდენიმე ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნა, ბევრს სიცხე მისცა. დაზაფრულები არიან, სკოლაშიც აღარ დადიან. ისინი ისეთ ასაკში არიან, ამხელა მოლოდინის შემდეგ ასეთი იმედგაცრუება მათთვის ძალიან რთულია. ძნელია ამ ასაკში ბავშვებს რაიმე აუხსნა,“ - აღნიშნავს ანსამბლის ხელმძღვანელი.

პროექტის სატელევიზიო ჩაწერას დედოფლისწყაროდან 50-ზე მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა. ისინი აცხადებენ, რომ ანსამბლმა მაყურებლის საოცარი მოწონება დაიმსახურა და გამამხნევებელ შეძახილებში მათ მთელი დარბაზი აჰყვა.

„ეთერში უამრავი ისეთი კადრი გაუშვეს, მაგალითად ძაღლის გასეირნება, ველოსიპედით სახედაფარული ბიჭის გასეირნება და მრავალი სხვა. თავისუფლად შეეძლოთ ამ დროში სხვა გამარჯვებული ნომერი ჩაესვათ, თუმცა საქმე იმაშია, რომ დარბაზი და ტელემაყურებელი ვერ დაგვცინებდა, ჩვენს ნომერში სასაცილოს ვერაფერს ნახავდა და ამ შოუს ეს არ აწყობდა,“ - აღნიშნავს გაბრიელაშვილი.

შეგახსენებთ, პროექტის მომდევნო ტურში ბევრი ისეთი მონაწილეც მოხვდა, რომელთაც ჟიურის მხოლოდ 2 წევრის თანხმობა მიიღეს.

ანსამბლის მცირეწლოვანი აღსაზრდელების მშობლები ნიჭიერის დაანონსებულ ფორმატს „ყველაზე სახალხო პროექტი“ ეჭვქვეშ აყენებენ და საპირისპირო შეფასებას აძლევენ: „პატარა ბავშვებისთვის გულისტკენას და ფსიქოლოგიური სტრესის მიყენებას არ სჯობდა, მათთვის თავიდანვე ეთქვათ უარი შემდეგ ტურში გადაყვანაზე? ბავშვები იმედგაცრუებულები არიან და ამბობენ, რომ ქართულ სცენაზე დადგომის სურვილი გაუქრათ. საინტერესოა, ესაა ამ პროექტის ორგანიზატორების თვითმიზანი? ესაა სახალხო პროექტი? ჩვენ მას „ყველაზე არასახალხო პროექტს დავარქმევდით“ — ამბობენ ანსამბლ „შირაქის“ ნორჩი მოცეკვავეების მშობლები.

ილია მარტყოფლიშვილი

ვაზო, შვილივით ნაზარდო

დიახ, ნამდვილად თოთო ბავშვივით ხელის მიყოლება და დროული მოვლა–პატრონობა სჭირდება ვაზს, რომელიც ქართველი კაცისთვის სამშობლოსა და ერთან გათანაბრებული მცნებაა. დასაბამიდან ვაზი და მისი "პირმშო"ღვინო იყო სალოლიავებელი ქართველისათვის. მტერი შემოესეოდა და ვაზს აკაფავდა, გადასწვავდა და გაანადგურებდა, ამით არა მარტო საარსებო საშუალებას უსპობდა ქართველს, არამედ გულსაც უკლავდა, მაგრამ სიყვარულს ამ კულტურისადმი და რწმენას, რომ ისევ აღსგებოდა მიწისაგან პირისა, არ კარგავდა. ჩგადამწვარ ყანას ხელახლა დათესავდი და მოსავალს მოგცემდა, ვაზს კი 3-4 წელი სჭირდებოდა ნაყოფის გამოღებამდე. მაგრამ მაინც არ ღალატობდა ქართველი ვაზს. საქართველოს უძველეს წარსულში ვაზის და ღვინის არსებობას არაერთი არქეოლოგიური გათხრის დროს ნაპოვნი ქვევრმარანი ადასტურებს.

ორი ათეული წლის წინ ვაზის უზარმაზარი ზვრები იყო გადაჭიმული მთელ საქართველოში. ჩვენს რაიონში კი ტარიბანის, ენამთის, დილიჩის, სამთაწყარო- ფიროსმანის ტერიტორიები მოცული ჰქონდა ვაზს. მერე აირია სიტაუცია, გაიჩეხა ვენახები. მას რუსეთის მიერ ღვინის ემბარგო დაემატა და ერთხანს მოიშალა ღვინის გასაღების ბაზარი, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ ყველაფერი იღონა, რომ სხვა უფრო პრესტიჟული ბაზარი მოეძიებინა. ჯერ უკარაინა, მერე ამერიკის და ევროპის საზოგადოებისათვის გახდა ცნობილი ჩვენი დიდი ტრადიციები ვაზისა და ღვინის კულტურების შესახებ. მსოფლიოს უდიდესი და ფეშენებლური რესტორნები და ღვინის სახლები თავის საცავებში ინახავენ ქართული ღვინის უნიკალურ თეთრ თუ წითელ ღვინოებს. განსაკუთრებული მოწონებით გლეხური, ტრადიციული ღვინო სარგებლობს, რომლის დასაყენებლადაც მამა-პაპური ქვევრია გამოყენებული. ¿ქვევრის ღვინოზე მოთხოვნა დღითი-დღე იზრდება. სულ ერთი კვირის წინ კი ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მევენახეობის აღორძინება და ამ დარგის პრიორიტეტად გამოცხადების შესახებ ხმამაღალი განცხადება გააკეთა.

ვაზის კულტურისადმი ინტერესის გაღვივებაზე ზრუნვა არა მხოლოდ მთავრობის დონეზე, ანდა მატერიალური დაინტერესებით ხდება, არამედ შემეცნებითი თვალსაზრისითაც. სწორედ ამ მიზნით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა (დირექტორი ლია ბაიდოშვილი) ეთნოგრაფიულ განყოფილებაში მოაწყო კუთხე "მევენახეობა-მეღვინეობა ქიზიყში", სადაც ამ თემასთან დაკავშირებული მუზეუმში დაცული ნივთები გამოიფინა. აქ ნახავთ ქვევრს, ტიკს, სარცხებს, სხვადასხვაგვარ სასმისებს. კუთხე დაამშვენა გ.კელაპტრიშვილის ნახატმა "რთველი". ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია. ¿კონფერენციაზე საინტერესო ნარკვევები წარმოადგინეს მარინა ბაგაშვილმა — "ლეგენდები ვაზის კულტურაზე, მევენახეობა და ვაზის ჯიშები კახეთში," 'ღვინის ჭურჭელი" და მარინე მახარაშვილმა – "ქართული ქვევრ–მარანი, რთველი და ღვინის სასმისები". იმის გამო, რომ კულტურის დარგში გამართულ სამეცნიერო თუ შემეცნებით ღონისძიებებს საზოგადოების ფართო მასები ვერ თუ არ ესწრებიან, საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ნარკვევების ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნება.

დღეს მარინა ბაგაშვილის მიერ დამუშავებულ თემებს გთავაზობთ, ხოლო მარინე მახარაშვილის ნამუშევრებს ჩვენი გაზეთის შემდგომ ნომერში შემოგთავაზებთ. ვფიქრობთ, ეს საინტერესო იქნება როგორც უფროსი ასაკის მკითხველისათვის, რომელმაც ნაწილობრივ მაინც იცის და ცხოვრების მანძილზე თავადაც უნახავს ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებული პროცესები, ასევე მომავალი თაობისთვის, რომლისთვისაც ეს მისი ერის ისტორიის ნაწილია, რომელიც უნდა ისწავლოს და შეიყვაროს კიდეც.

ნაირა გორაშვილი

ლეგენდები ვაზის კულტურაზე,მევენახეობა და ვაზის ჯიშები კახეთში

მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგია. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატა ქართულ კულტურაში, ტრადიციულ წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტებში, ჭედურობაში,მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.

საქართველო ითვლება მევენახეობა–მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად და ხარისხიანი და მაღალხარისხიანი ღვინოების წარმოების ზონად მსოფლიოში.

ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა.

საქართველოში, კერძოდ მცხეთის, თრიალეთის, კახეთის, შიდა ქართლის, ვანის და სხვა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია მარნები მიწაში ჩაფლული ქვევრებით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის სასმისებით, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე III–II ათასწლეულებით თარიღდება. საინტერესოა ვაზის კულტურის წარმოშობის ერთ-ერთი ისტორია: 1933 წელს პრუსიის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ ბერლინში შეიძინა ერთი ახალი, მანამდე უცნობი, სპარსული ხელნაწერი, 1365 წლით დათარიღებული. მასში აღმოჩნდა სახელგანთქმული მათემატიკოსის, ფიზიკოსის, ფილოსოფოსისა და პოეტის ომარ ხაიამის (1040–1123 წწ) მანამდე უცნობი ნაწარმოები "ნაურუზნამე". მასში ავტორს შეუტანია ირანული ძველი გადმოცემა ვაზისა და ღვინის წარმოშობის შესახებ ირანში. იგი აღნიშნავს, რომ ეს გადმოცემა დამყარებულია ისტორიული წყაროების მონაცემებზე.

გადმოცემის მოკლე შინაარსი შემდეგია: სახელგანთქმული მეფის შამირანის შვილმა უფლისწულმა ბადამმა სიკვდილს გადაარჩინა ფასკუნჯი, რომელსაც უზარმაზარი გველი ახრობდა. მადლიერი ფასკუნჯი სამაგიეროდ მეფეს ყურძნის წიპწებს მიუტანს. მეფის ბრძანებით წიპწებს დათესავენ. აღმოცენდება ვაზი, იგი მოისხამს ყურძენს, მას დაწურავენ და დადგება სასმელი, რომელსაც აღიარებენ სიტკბოების მიმნიჭებელ წყაროდ. მეფე ბრძანებს, გაშენდეს ვაზის ზვრები მთელს ქვეყანაში ადამიანთა საკეთილდღეოდ. ჩგადმოცემა აღნიშნავს, რომ ფასკუნჯი, რომელმაც ირანში წიპწები მიიტანა, ჩრდილოეთის მხრიდან მოფრინდა.

გადმოცემაში დასახელებული ჩრდილოეთის მხარე, საიდანაც ფასკუნჯმა წიპწები მიიტანა ირანში, ირანისათვის და მის სამხრეთით მდებარე ქვეყნებისათვის კავკასია და მასში შემავალი ქვეყნებია: ამიტომ, ვაზის სამშობლოდ, ლეგენდის მიხედვით, კავკასია, კერძოდ ამიერკავკასია, ივარაუდება.

ძველ ებრაულ გადმოცემაში, ვაზის კულტურის სამშობლოდ სამხრეთი კავკასიაა დასახელებული. ეს გადმოცემა ქართველ ხალხში შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: " წინათ, მთლად პირველად, ყოფილა წარღვნა წყლით. ¿ქვეყანა არეულა, ყველაფერი დანგრეულა. ოცდახუთი დღე წვიმდა, ქვეყნიერება დაფარა წყალმა. ნოემ გააკეთა კიდობანი, რაც რამ ქვეყნიერებაზე სულდგმული არის, ყველაფერი შეიყვანა მასში, კიდობანში მთლად მთავარი იყო ნოე- ქრისტიანი კაცი.

ოცდაშვიდი დღე რომ გახდა, ნოემ კიდობანიდან გამოუშვა დედალი ყვავი და უთხრა: წადი, მომიტანე, რა არის გაჩენილი, რომ კაცმა თავი ისაზრდოვოსო. ყვავი როცა გარეთ გამოვიდა, დაინახა, რომ ყველაფერი დამხრჩვალიყო, მკვდარი საქონლით და ადამიანებით მოფენილი იყო ყველაფერი. ყვავმა რომ მძორი ნახა, მიაძღა, ყველაფერი დაავიწყდა და აღარ დაბრუნდა უკან. როცა ყვავს დააგვიანდა, ნოემ სთქვა: ყვაწჩალა გაუმაძღარია, ნახავდა რამეს და აღარ დაბრუნდებაო.

შემდეგ გაგზავნა მტრედი და უთხრა: მომიტანე ამბავი, სანოვაგე თუ არის რაიმე, რომ შეინახოს კაცმა თავი. მტრედი გაფრინდა და დაინახა, გუბეები იყო, დაინყო ძებნა. ენკენისთვეა და გამოსულა ძღვამბლი (კრიკინა, გარეული ვაზი), რომელიც მწიფს. მოკენკა მტრედმა ძღვამბლი, დაიკავა პირში, გაფრინდა და მიუტანა ნოეს. უთხრა: ეს ვნახე მეო; ნოემ უთხრა, რახან ეს ნახე, მიწა დაშრებაო და შეინახავს კაცი თავსო. ჩამოვიდა კიდობანიდან ხალხი და იწყეს საზრდოობა. დაიწყო ხალხმა მუშაობა, გაიჩინეს საქონელი.ადამიანი მუშაობით ირჩენდა თავს, საქონელი კი ადამიანით. ეს მტრედის მიერ ნანახი ლერწი იყო ძღვამბლის. ძღვამბლს ნოშო ჰქონდა, მთლად ყურძნით იყო მიწაზე ამოსული. ეს ძღვამბლი წამოიღო ნოემ თავის ახლოს. ამოიღო მიწა, ჩააყოფინა თავი მიწაში. დაუსვა ჯვარი და გამოვიდა კაპიტონი (ღერო, რტო) ყურძენი და გააკეთა კაპიტონი ქვეყნიერებაზე. შემდეგ მრავლად გააკეთეს ყურძნის ვენახი".

აღსანიშნავია, რომ ამ ორი გადმოცემიდან ერთი ებრაული, სემიტური სამყაროდან მომდინარეობს. ხოლო მეორე, სპარსულ-ირანული. ე.ი. ინდო-ევროპული სამყაროდან. ¿პირველი მათგანი კულტურული ვაზის სამშობლოდ გამორიცხავს ვაზის კულტურის ისეთ ძველ ცენტრს, როგორიცაა სირია-პალესტინა, ხოლო მეორე-სპარსეთს.

ჩადმოცემები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვაზის წიპწის სამშობლო ჩრდილოეთი მხარეა. დღეისათვის გარკვეულია, რომ ჩრდლოეთის მხარე სპარსეთისა და მისგან სამხრეთით მდებარე ქვეყნებისათვის საქართველო–კავკასიაა.

ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ვაზისა და ღვინის მოხმარების კულტურა და ტრადიცია.

ძველად, მევენახეობა-მეღვინეობა იყო ძირითადი დარგი სოფლის მეურნეობისა. ქართველმა ხალხმა კარგად იცოდა ყურძნის მოყვანა, მისი დაწურვა, ღვინის დაყენება და მისი დაბინავება.

მევენახეობა მოითხოვს მეურნეობის დიდ ცოდნა-გამოცდილებას და ინტენსიურ შრომა-საქმიანობას, რაზედაც დიდად არის დამოკიდებული მეურნეობის ამ დარგის წინსვლა. ქართველი კაცი დღენიადაგ თავს ადგას ვენახს და მას მოვლა-პატრონობას არ აკლებს, მაგრამ ამ მხრივ, შრომატევადია ოქტომბრის თვე, როდესაც რთველი დგება. ოდითგანვე ამ დროს იწყებოდა მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარის აღება-დაბინავება და ყურძნის დაწურვა, რისთვისაც ოქტომბერს "ღვინობისთვე" უწოდეს.

კახეთში რთველი მოდიოდა ალავერდობის სწორზე. ღვინის ღირსება დამოკიდებული იყო ყურძნისმოკრეფის დროის სწორად შერჩევაზე.ყურძნის შემოსვლის შემდეგ იწყებოდა რთვლისათვის სამზადისი. კახეთში სოფლის ამორცეული თავკაცები ხალხს შეკრებდნენ სასოფლო ადგილზე და იქ დათქვამდნენ რთვლის დაწყების დროს.

ქართლ-კახეთის მევენახეობა-მეღვინეობაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ახალ მთვარეს. ქართველი კაცი ახალ მთვარეზე რთველს არ მოაწყობდა, რადგან, მისი რწმენით, ღვინო წაუხდებოდა.

რთვლის დროის განსაზღვრის შემდეგ ამზადებდნენ საჭირო ჭურჭელს და იარაღს. წნავდნენ და ამარაგებდნენ გოდრებს, ასუფთავებდნენ მარანს, ამაგრებდნენ გოდრებს, იწყებდნენ ქვევრებისა და საწნახელების რეცხვას. ქვევრს წყალს სამჯერ გამოუცვლიდნენ, სუფთად გაწმენდნენ, კედლებსა და ძირს გაუშრობდნენ, შემდეგ წყალს ჩაასხავდნენ და ისე დატოვებდნენ. მეორე დღეს კიდევ შემორეცხავდნენ, შეამშრალებდნენ სუფთა ტილოთი და ერთ კომშს ქვევრის კედლებს ხეხვით ზედ შეალევდნენ, რათა მას კარგი სუნი მისცემოდა.

რთველში პატიჟობდნენ ნათესავებსა და ნაცნობებს, რომლებიც ხალისით ეწვეოდნენ ხოლმე მასპინძლებს, სტუმრებს, თან მამლებიც მოჰყავდათ, რომელსაც "სართვლო მამალი" ეწოდებოდა.

ვენახების დროული კრეფა დამოკიდებული იყო როგორც მეღვინეობასთან დაკავშირებული იარაღ–ჭურჭლის მომზადებაზე, ისე მუშახელზედაც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქიზიყში პატარა ვენახში რთველი ერთ დღეს, ზოგჯერ უფრო ადრეც თავდებოდა.

რთვლის დაწყების წინა დღეებში, მუშახელის რაოდენობის შესაბამისად, ოჯახი აცხობდა პურს. ზოგი ამ დროს 5-6 თონეს აცხობდა. ¿ყიდულობდნენ სართვლო საკლავს.

რთვლის წინა ღამეს კახეთში იცოდნენ სტუმრებიანად რთველსში გასვლა, სვამდნენ, მხიარულობდნენ და ასე ხვდებოდნენ მეორე დღეს. მეორე დღეს, როცა მზე კარგად ამოვიდოდა, ისაუზმებდნენ და იწყებდნენ ყურძნის კრეფას. პირველად ოჯახის უფროსი ხალხთან ერთად დაილოცებოდა, პირველი ასჭრიდა ჩხებს და აკიდოებს "ხატის სახელზე დაყენებულ ვაზებიდან" და იქვე ვენახში კიდებდა რთვლის დამთავრებამდე. შემდეგ კი ეკლესიაში მიიტანდნენ საკურთხევლად.

ყურძენს კრეფდნენ კალათებში და გოდრებში ცლიდნენ. ყურძნის გადაზიდვის დროს ტრანსპორტად ქართლ-კახეთში გამოიყენებოდა ურემი, ზოგან სახედრებიც.

როცა ვენახი დაიკრიფებოდა, საბოლოოდ ვენახის თავში გაგორდებოდა ოჯახის დიასახლისი ან რომელიმე მსუქანი ქალი, მიღებული იყო ბავშვის გაგორებაც-" გაისად ასეთი მსხვილი მტევნები დაისხასო". ეს წესი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდებოდა.

მსოფლიოში ცნობილია ვაზის 4000-მდე ჯიში. საქართველოში ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშია, რომელთაგან სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია 62 ჯიში, მათ შორის 29 საღვინე, და 9 სუფრის. გამორჩეული მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებია: რქაწითელი, ხიხვი, ქისი, გორული, მწვანე, ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, საფერავი, თავკვერი, ალექსანდროული, მუჯურეთული, ოჯალეში, ჩხავერი და სხვა.

კახეთი — საქართველოს რაიონებს შორის, მევენახეობის დარგის განვითარებით და პროდუქციის მაღალი ხარისხით დიდ ყურადღებას იმსახურებს.

სავენახე ფართობების ზღვის დონიდან სიმაღლე, ექსპოზიცია და ნიადაგურ-კლიმატური პირობები სავსებით ხელშემწყობია კახეთში მევენახეობისა და ხარისხოვანი მეღვინეობის ფართოდ განვითარებისათვის.

კახეთში გავრცელებულია შემდეგი ვაზის ჯიშები: ხიხვი, მწვანე კახური, რქაწითელი, საფერავი;

ხიხვი - თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია, გვხვდება კახეთში. ცნობილია აგრეთვე ჯანანურას სახელწოდებით. იგი იძლევა თავისებური სპეციფიკური გემოსი და არომატის მქონე მაღალხარისხოვან ღვინო-მასალას. აგროვებს შაქრის დიდ რაოდენობას 30%- მდე და გამოიყენება ამავე სახელწოდების ლიქიორული ტიპის ღვინის დასამზადებლად. ამ ჯიშს, ისე როგორც მწვანე კახურს, იყენებენ რქაწითელის გასაკეთილშობილებლად.

ვაზის ჯიში გამძლეა ფილოქსერის, ყინვისა და ჭრაქის მიმართ. ნაკლად ითვლება მცირე მოსავლიანობა და დანაცვრა, რამაც წარსულში ეს ჯიში თითქმის გადაშენებამდე მიიყვანა.

მწვანე კახური ერთ-ერთი საუკეთესო ქართული ჯიშია. იგი ძირითადად კახეთშია გავრცელებული. ხასიათდება საშუალოზე მაღალი მოსავლით.ჯიში დიდ მოთხოვნას უყენებს ეკოლოგიურ პირობებს. ღვინო მწვანეს განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენს მისი იშვიათი, ძლიერი და სასიამოვნო არომატი, რომელიც მას ხდის მას შეუცვლელ გამაკეთილშობილებელ პროდუქტად სხვა ჯიშებისგან დამზადებული ღვინის კუპაჟებში. მაგალითად, „წინანდლის", „ვაზისუბნის", „გურჯაანის", 'ჰერეთის", „გარეჯის", „კახეთის", „შუამთის" და სხვა. სუფთა მწვანე კახურისაგან მზადდება, აგრეთვე, ნახევრად ტკბილი ღვინო „ახმეტა". მწვანე კახურის სურნელოვანი არომატიც უფრო მეტად არის გამოხატული კუპაჟისას კახური ტიპის ღვინოებში.

რქაწითელი საქართველოში უძვირფასეს და ყველაზე გავრცელებულ ჯიშს წარმოადგენს. კახეთში ვაზის ნარგაობა 90% რქაწითელზე მოდის.

საქართველოს მეღვინეობაში ეს ჯიში უნივერსალურია. იგი თითქმის ყველა ტიპის მაღალხარისხოვანი ღვინოების დასამზადებელ ნედლეულს იძლევა. რქაწითელისაგან მიღებულმა ღვინის პროდუქციამ კახურ ღვინოებს დიდი ავტორიტეტი და აღიარება მოუტანა მსოფლიოში. მისგან მზადდება ქართული ღვინოები: ევროპული ტიპის — „წინანდალი", „ვაზისუბანი", „გურჯაანი", „ნაფარეული", „ჰერეთი", „გარეჯი";

უნდა აღინიშნოს, რომ რქაწითელისაგან დამზადებული ღვინომასალები წარმოადგენენ ნედლეულს ისეთი სახელგანთქმული სამარკო კონიაკებისათვის, როგორიცაა: ენისელი, გრემი, საიუბილეო, თბილისი;

საფერავი წითელყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისი ძირითადი ნარგავები წარმოდგენილია კახეთში. სათანადო საძირეებზე დაყრდნობით და ხელშემწყობ ეკოლოგიურ პირობებში გაშენებით საფერავი შეუდარებელი, მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემია. საფერავის პროდუქცია გამოიყენება უნიკალური წითელი სამარკო და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად.

ვაზის თითოეული ჯიში ისტორიული ძეგლია. რქაწითელის, საფერავის, მწვანის, ხიხვის და სხვათა შექმნაზე ქართველმა მევენახემ ისეთი დიდი შრომა დახარჯა, და შეიძლება მეტიც, რამდენიც სვეტიცხოველის, ჯვრის მონასტრის, გელათის ან იყალთოს აკადემიის მშენებლობაზე.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე

12 მაისს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღინიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა აღევლინება.

წმინდა ანდრიას, პეტრე მოციქულის ძმას, უფალმა იესო ქრისტემ პირველს მოუწოდა, ამიტომ მას ეწოდა პირველწოდებული. მაცხოვრის ამაღლების შემდეგ მოციქულებმა საქადაგებლად კენჭი ყარეს. ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ რადგან მისი მიძინების ჟამი დგებოდა, მაცხოვარმა მოუწოდა ღვთისმშობელს, იერუსალიმში დარჩენილიყო, საქართველოში კი თავისი ხელთუქმნელი ხატით ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა. ყოვლადწმიდა ქალწულმა იხმო ანდრია და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი აიღო, პირი დაიბანა და ფიცარი სახეზე მიიდო. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი. ეს იყო ღვთისმშობლის პირველი ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ანდრია პირველწოდებულმა საქართველოში წამოაბრძანა. მოციქული საბერძნეთისა და მცირე აზიის გავლით, „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების".



გადმოცემის თანახმად, სოფელ დიდაჭარაში დღემდე არსებობს ტაძრის ნანგრევები, რომელიც თავად წმიდა ანდრია პირველწოდებულს აუგია. მან ასევე დაადგინა პირველი სასულიერო პირები - მღვდლები და დიაკვნები.

ღვთისმშობლის ხატის ძალით მოციქულმა კერპები დაამხო, აწყურში დააარსა ეკლესია და მცირე ეკვდერში ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი დაასვენა. წმინდა ანდრია იქ არ დარჩენილა. გაემგზავრა კლარჯეთში, არტაანკოლაში, პართეთში, სომხეთში, შემდეგ კი იერუსალიმში წავიდა.

იერუსალიმთან ანდრია სვიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ისევ საქართველოში დაბრუნდა. ისინი ქართლში შევიდნენ და ქრისტიანობა განამტკიცეს.

უკანასკნელად მოციქულმა საბერძნეთის ქალაქ პატრაში იქადაგა, იქაურმა უღმრთო ხელისუფალმა ანდრია პირველწოდებულის ჯვარზე გაკვრა ბრძანა. წმინდანი ორი დღე ქადაგებდა ჯვრიდან და იქვე აღესრულა. მმართველის ცოლმა მოციქულის ცხედარი ჯვრიდან ჩამოხსნა და პატივით მიაბარა მიწას. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კონსტანტინე დიდის ზეობისას წმიდა მოციქულის უხრწნელი ნაწილები პატივით დაასვენეს კონსტანტინეპოლში და წმიდა მოციქულთა ტაძარში დააბრძანეს ლუკა მახარებლისა და ტიმოთე მოციქულის ნაწილთა გვერდით.

ქართველთა პირველი განმანათლებელი წმინდანის ხსენების დღე 13 დეკემბერს - მისი აღსრულების დღესაც აღინიშნება. დღესასწაულის გამო 12 მაისი უქმედ არის გამოცხადებული.

ხსოვნა

ომარ ჯანიაშვილი



17 მაისს ორმოცი დღე გავა, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან მარადისობაში გადასახლდი. 70 წელი იცოცხლე, ეს არც ბევრია, მაგრამ არც ცოტაა, ადამიანმა თავისი სახელი რომ დატოვოს. შენ კარგი, გულისხმიერი და კეთილი ადამიანის სახელი მოიპოვე. ცხოვრება მხნედ და ხალისიანად განვლე, მაგრამ ბოლო ორი წელი მძიმე იყო შენთვის. ავადმყოფობით შეწუხებული ერთ წელზე მეტი ლოგინს მიეჯაჭვე და გაუსაძლის ტკივილებს განიცდიდი. ყველანაირად ვცდილობდი , შენთვის მდგომარეობა შემემსუბუქებინა. მიუხედავად იმისა, რომ გვიჭირდა, არც წამალს გაკლებდი, ხშირად ჩემს ლუკმას შენ გითმობდი, მაგრამ უშედეგოდ, ვერ მოვერიეთ შენს ავადმყოფობას , ვერ დავამარცხეთ სიკვდილი. დიდი ამაგი დაგდო სიცოცხლეშიც და სიკვდილის მერეც შენმა დისშვილმა მარინა ბულიამ, რომელიც რუსთავში ცხოვრობს. შენი სიკვდილი მწარედ განიცადეს შენმა შვილმა გელამ, რძალმა ნინომ, შვილიშვილებმა ეკამ და დიმამ. თურქეთიდან დაგაყარა ცრემლი შენმა პირველმა სიხარულმა, უფროსმა შვილიშვილმა ნათიამ. ჩვენი ოჯახის ტკივილი გაიზიარეს ნათესავებმა, მეზობლებმა, მეგობრებმა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც სიცოცხლეში თუ სიკვდილის შემდეგ მხარში დაგვიდგა და შეგვაძლებინა, ღირსეულად გაგვეცილებინე უკანასკნელ გზაზე. ჩემთვის ძალიან ძნელია უშენობა, აუტანელია ეს სიმარტოვე, ჩვენ ორივე ავადმყოფობდით, მაგრამ ერთმანეთის ნუგეშად ვცოცხლობდით. ახლა სხვა რაღა დამრჩენია,ორმოცი დღეა, ვლოცულობ შენი სულისთვის. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს და განისვენე იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი მეუღლე
ნათელა ჯანიაშვილი

ირაკლი (ფოფხაძე) ჯანაშვილი



ტკივილიანი მონატრებით გაილია ერთი წელი. 9 მაისი შენი გარდაცვალების დღეა. ძალინ მიჭირს უშენოდ. შენ ხომ ჩემი დიდი იმედი, კეთილშობილებისა და კეთილსინდისიერების განსახიერება იყავი. უსაზღვროდ მენატრები, შენ ხომ ყოველთვის კაცთმოყვარეობით და ღირსებით გამოირჩეოდი. წახვედი და დატოვე სუფთა, შეუბღალავი სახელი, ჩემო მამა. შენ ხომ ჩემი და ჩემი შვილის დაბადების დღეს გარდაიცვალე. სამუდამოდ გვემახსოვრება ეს დღე. შენ ჩვენთან ყოფნას შენს საყვარელ მეუღლესთან ყოფნა არჩიე, რომელიც ძალიან გიყვარდა და გენატრებოდა.

მამა, ძალიან მენატრები. თითქმის ყოველდღე მივდივარ შენს საფლავთან. შენ დამიტოვე დიდი ტკივილი და დღემდე როგორც ცოცხალს, ისე გესაუბრები, რჩევას და დახმარებას გთხოვ. ჩემო ლამაზო მამა, განისვენე მშვიდად შენს საყვარელ მეუღლესთან. მანდედან ილოცე შენი შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების და ახლობლებისათვის.

შენი შვილი ცისმარი

ფაცო მამუკაშვილი

„სიკვდილსა გლოვა უნდება,
მკვდარ ძმას- ტირილი დისაო"-

გვეუბნება ვაჟა.

დაგტირით ცხარე ცრემლებით, დაგტირით ჩვენო ერთადერთო ძმაო -ფაცო, ჩვენო იმედო და დიდო სიხარულო....

მაინც რა იყო ბედისწერა, 13 მაისს დაბადების დღე გქონდა და 14 მაისს წახვედი ჩვენგან. ზარი იყო, დიდი ზარი შენი წასვლა, ჩვენი მამისეული სახლის საძირკველი შეირყა, ის ტოტებიც ყურებჩამოყრილი გვეჩვენება ფოთლებიანად. მართალია,შენი შვილები და შვილიშვილები გვიმაგრებენ გულს, გვეამაყებიან და გვეიმედებიან, მაგრამ შენგან დატოვებულ სიცარიელეს ვერ გვივსებენ.

მაისში ხდება ერთი წელი, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. მოვალთ შენს საფლავთან შენი დები, შვილები, შვილიშვილები, მეზობლები, რომელთა სიყვარულით სავსე გული წაიღე იმ ქვეყნად.

შენ, ჩვენო ძმაო, იმიერში ჩვენი მშობლები და დედმამის შვილები 4 გვყავს მანდ, და ახლობლები გაგამაგრებენ, ჩვენ კი აქ არ გავახუნებთ შენს ხსოვნას...

უამრავ ყვავილს მოვიტანთ და შენს საფლავზე - 14 მაისს, რაც გაათბობს შენს სულს და მარადისობაში დაუმკვიდრებს სასუფეველს.

შენი დები:
ფატი და მაყვალა
მამუკაშვილები.
სოფელი ქვემო ქედი.

ნუგზარ აბაშიძე

ცხოვრება მოვალეობაა, თუნდაც წამიერი იყოს იგი, უთქვამს ბრძენ კაცს. სწორედ ამ პასუხიმგებლობის შეგნებით იცხოვრა და იღვაწა ერთმა გამორჩეულმა ქართველმა კაცმა- ნუგზარ აბაშიძე რომ ერქვა სახელად. მართლაც რომ გამორჩეული იყო - გარეგნობით, კაცობით, მამულიშვილობით. არაჩვეულებრივი პროფესიონალი (მეღვინე-ექსპერტი), მეუღლე, მამა და მეგობარი. სადაც უნდა ყოფილიყო - სამშობლოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, მუდამ ქართულ საქმეს აკეთებდა, მამულის მაჯას მიყურადებული - დღენიადაგ მასზე ზრუნავდა და ფიქრობდა. აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა, რაინდული სიმშვიდითა და თავდაჯერებულობით, იმის შეგნებით, რომ გაბრწყინებულ საქართველოს დაუტოვებდა შთამომავალთ. მაგრამ ბედისწერას რაკი ასე ენება, ერთი განსაცდელისგან მაინც დაიცვა და მტრისგან გავერანებული ქვეყნის ჭირისუფლობა ააცილა. ალბათ მისნაირ კაცზე თუ იტყოდა პოეტი:

„მიწას ასტკივდა შენი სამარე,
მოგონებებიც დგანან კუშტებად,
შენნაირებს ხომ ტკვიით არ
კლავენ,
მათ, სამწუხაროდ, გული
უსკდებათ."

დიახ, ასეთია გულით მოყვარული, გულით მომზირალი და გულით მოტირალი კაცის ბოლო.ისინი უნაპირო სიყვარულის მსხვერპლნი ხდებიან, ისე, როგორც ბატონი ნუგზარ აბაშიძე. ლიკას და ლაშას უზომოდ უყვარდათ თავიანთი ბაბუა.

ამას წინათ მის შემდგომ დაბადებულმა შვილიშვილებმა -ლუკამ და საბამ როცა გაიგეს, ბაბუა ზეციურ საქართველოშიაო, - გაკვირვებულებმა იკითხეს: ,,კი მაგრამ ჩვენ რატომ არ დაგველოდაო," მათ ის კი არ იციან, რომ ბაბუა არსად არ წასულა, მისი სული დღენიადაგ დატრიალებს მის ულამაზეს ოჯახს - შესანიშნავ მეუღლეს - ტექნიკური უნივერსიტეტის სრულ პროფესორს - ქალბატონ ლია დემეტრაძეს, არაჩვეულებრივ შვილებს - ქეთევანსა და ზურაბს, ოთხ შვილიშვილს, თავის სამეგობროსა და სრულიად საქართველოს.

ღმერთმა დალოცოს აბაშიძეების დიდი გვარი და ბატონი ნუგზარის მარად ჩაუქრობელი კერა - ,,მრავალჟამიერს'' გაქცეული და ,,ურმულივით" ნამარტოსულევი კაცის ლოცვა რომ მფარველობს საიქიოდან.

კოლეგებისა და მეგობრების სახელით:

ვაჟა მამაიაშვილი, - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თამაზ კობაიძე.- ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გოდერძი გონაშვილი,- მეღვინე-ტექნოლოგი

გაზეთ „შირაქის" რედაქცია, თინა ფავლენიშვილი, სოფო, მანო ისაიაშვილები სამძიმარს უცხადებენ ვასიკო და ნანა შოშიაშვილებს დედის

მანოს

გარდაცვალების გამო.

თინათინ, დარეჯან მურვანიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ვასიკო და ნანა შოშიაშვილებს დედის

მანოს

გარდაცვალების გამო.

სპორტი

ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის მეორე რესპუბლიკური ტურნირი

9 მაისს ქალაქ დედოფლისწყაროში ჩატარდა ქართული ძიუდოს ერთ—ერთი ფუძემდებლის, საქართველოს და ყოფილ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული მუშაკის ბიძინა მაზიაშვილის ხსოვნის მეორე რესპუბლიკური ტურნირი 1999—2000 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. შეჯიბრების მსაჯი იყო, წარსულში ცნობილი მოჭიდავე, ევროპის ჩემპიონი ანზორ მარტყოფლიშვილი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელობამ ბიძინა მაზიაშვილის გარდამავალი თასი დააწესა.

სანამ უშუალოდ შეჯიბრის მსვლელობის განხილვაზე გადავიდოდეთ, შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ქალაქ დედოფლისწყაროში მდებარე სადგურის ქუჩას სწორედ ბიძინა მაზიაშვილის სახელი ეწოდა.

ტურნირში მონაწილეობდნენ ქალაქებია: თბილისია, ახმეტის, საგარეჯოს, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს ნაკრები გუნდები.

გამარჯვებულ ძიუდოისტთა სია ასე გამოიყურება:

35 კილოგრამ კატეგორიაში:

I ადგილი — გიორგი თინაშვილი (დედოფლისწყარო)
II ადგილი — ბექა ბუქური (დედოფლისწყარო)
III ადგილი — ბექა ჩოხელი (დედოფლისწყარო)
III ადგილი — გიორგი შათირიშვილი (ახმეტა)

40 კილოგრამ კატეგორიაში:

I ადგილი — ლაშა ბექაური (დედოფლისწყარო)
II ადგილი — ნიკა კობაიძე (დედოფლისწყარო)
III ადგილი — გიორგი ნატროშვილი (დედოფლისწყარო)
III ადგილი — დავით ფათალიშვილი (დედოფლისწყარო)

45 კილოგრამ კატეგორიაში:

I ადგილი — ნიკა ზვიადაური (დედოფლისწყარო)
II ადგილი — ოთარ გურაშვილი (ლაგოდეხი)
III ადგილი — ზურაბ დემეტრაშვილი (ლაგოდეხი)
III ადგილი — ნიკა ბაღაშვილი (დედოფლისწყარო)

50 კილოგრამ კატეგორიაში:

I ადგილი — გიორგი წიკლაური (დედოფლისწყარო)
II ადგილი — ბაკურ სარაჯიშვილი (ახმეტა)
III ადგილი — ვახტანგ მილაძე (დედოფლისწყარო)
III ადგილი — ლაშა ტაბატაძე (ლაგოდეხი)

60 კილოგრამ კატეგორიაში:

I ადგილი — გიგა იმერლიშვილი (ახმეტა)
II ადგილი — გიორგი ქიბროწაშვილი (ახმეტა)
III ადგილი — გიორგი გუგენიშვილი (დედოფლისწყარო)
III ადგილი — ჯონი მოსულიშვილი (დედოფლისწყარო)

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ ბიძინა მაზიაშვილის გარდამავალი თასი დააწესა. რომელი გუნდიც სამ გამარჯვებას მოიპოვებს, თასი მუდმივად მათთან დარჩება.

ამ ტურნირზე გუნდური პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიგო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდმა. მეორე ადგილი წილად ხვდა ახმეტის გუნდს, ხოლო მესამე ადგილზე ლაგოდეხელი სპორტსმენები გავიდნენ.

შეჯიბრებას საპატიო სტუმრებიც ესწრებოდნენ: დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ავთანდილ ლეკაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი და გამგებელი ნიკოლოზ შანშიაშვილი. ასევე, შს დედოფლისწყაროს პოლიციის სამმართველოს უფროსი გელა ბუნტური, მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორი ივანე შანშიაშვილი.

ტურნირს თვალყურს ადევნებდნენ ოლიმპიური თამაშების მონაწილეებიც. მსოფლიო თასის მფლობელი და ევროპის სამგზის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი და მსოფლიო თასის კიდევ ერთი მფლობელი ბადრი გავაშელიშვილი.

გამარჯვებული და სამეულში გასული ძიუდოისტები მედლებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ზაზა კედელაშვილმა დააწესა სამი თასი და სამი საჭიდაო კიმანო, რომლებიც გამარჯვებულ ძიუდოისტებს გადაეცათ.

კულტურისა და სპორტის ცენტრის ინფორმაციით, ტურნირზე ზაზა კედელაშვილის თასი გადაეცათ: 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გიგა იმერლიშვილს, 50 კილოგრამ კატეგორიაში გიორგი წიკლაურს, ხოლო 35 კილოგრამ წონაში გიორგი თინაშვილს. კედელაშვილმა საჭიდაო კიმანოები გადასცა 45 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნიკა ზვიადაურს, 40 კილოგრამ წონაში ლაშა ბექაურს და სოფელ არხილოსკალოს გუნდს.

თენგიზ გუმაშვილი,
სპორტის დამსახურებული
მუშაკი

იგრძენი მომავალი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA

სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიებს დედოფლისწყაროს სერვისცენტრში

შემდეგ თანამდებობებზე:

- *მოლარე;*
- *მოლარე—ოპერატორი;*
- *ადმინისტრატორი.*

შერჩევის საკონკურსო პროცედურა:

პირველადი გადარჩევა — ბანკის სააპლიკაციო ფორმაში ფიქსირებული მონაცემების საფუძველზე;
მეორე ეტაპი — ტესტირება;
მესამე ეტაპი — ქეისის განხილვა;
მეოთხე ეტაპი — გასაუბრება;

სააპლიკაციო პროცედურა:

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოაგზავნოთ სს “საქართველოს ბანკის” სააპლიკაციო ფორმა, რომელიც შეგიძლიათ აიღოთ, შეავსოთ და მიიტანოთ მისამართზე: ქ. თელავი, ჭავჭავაძის 6, საქართველოს ბანკის თელავის ფილიალი; ქ. გურჯაანი, ნონეშვილის 12, საქართველოს ბანკის გურჯაანის ფილიალი; ქ. სიღნაღი, 9 აპრილის ქ 15, საქართველოს ბანკის სიღნაღის ფილიალი; ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის 34, საქართველოს ბანკის ყვარლის ფილიალი; ქ. საგარეჯო, აღმაშენებლის ქ. 17, საქართველოს ბანკის საგარეჯოს ფილიალი; ლაგოდეხი, კოსტავას ქ.15, საქართველოს ბანკის ფილიალი; ქ.წნორი, კოსტავას ქ. 15, საქართველოს ბანკის წნორის ფილიალი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: regionjob@bog.ge (გამოგზავნის შემთხვევაში გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი მონაცემები არ განიხილება).

სააპლიკაციო ფორმების მიღების ბოლო ვადაა 2012 წლის 20 მაისი.

გისურვებთ წარმატებას!

ულოცავენ!

ლევან ბაღაშვილს!

ბატონო ლევან, გილოცავთ დაოჯახებას, გისურვებთ ტრადიციული ქართული ოჯახის შექმნას! ქართული კულტურის, მწერლობისა და წიგნის დიდ მოამაგესა და მხარდამჭერს, ღმერთის მფარველობა და ხალხის სიყვარული არ მოგკლებოდეთ.

პატივისცემით, დედოფლისწყაროს მწიგნობართა და მწერალთა რაიონული ორგანიზაციის სახელით: ნანა ჭიჭინაძე, ვანო ნატროშვილი, ჯუმბერ უთრუთაშვილი, ზაურ გონაშვილი, თამაზ წიკლაური, ნატო ყატაშვილი.

დაწყვილებას გილოცავთ, ბატონო ლევან! სითბო და სიყვარული, გამრავლება და კეთილდღეობა გვინდა გისურვოთ. ღმერთმა ერთად გატარებული მრავალი ლამაზი დღე არ მოაკლოს თქვენს ოჯახს!

პატივისცემით,
კულტურისა და სპორტის ცენტრის თანამშრომლები.

სანდა

27-28 აპრილს ქ.თბილისში ჩატარდა თბილისის ჩემპიონატი უშუ სანდა-ში, რომლის ორგანიზატორიც იყო თბილისის უშუ-კუნგფუს ფედერაცია და საქართველოს უშუს ფედერაცია. ამ შეჯიბრებაზე დედოფლისწყაროს საბრძოლო ხელოვნებათა კლუბიც მონაწილეობდა და საკმაო წარმატებითაც. დედოფლისწყაროდან ამ ტურნირზე ოთხმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა, საიდანაც ორი ჩემპიონის ტიტულით დაბრუნდა, ორი კი— მეორე ადგილით. ჩემპიონები გახდნენ ნიკა ჩიტიშვილი (1 საჯარო სკოლა) და ლევან წიკლაური (რუსულ-ქართული საჯარო სკოლა). მეორე ადგილები წილად ხვდათ ირაკლი ნატროშვილს და გიორგი ნატროშვილს. განსაკუთრებით ლამაზი ორთაბრძოლები გამართა ნიკა ჩიტიშვილმა, რომელმაც ორი ბრძოლა აშკარა უპირატესობით დაამთავრა და მსაჯთა მოწონებაც დაიმსახურა. მან პირველ ბრძოლაში, პირველივე რაუნდში, მეტოქე ტექნიკური ნოკაუტით გამოთიშა ასპარეზობას, ხოლო მეორე მოწინააღმდეგე აშკარა უპირატესობით დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ჩემპიონატზე მონაწილეობა საქართველოს თითქმის ყველა კუთხის კლუბმა მიიღო. ასპარეზობაზე სტუმრად იმყოფებოდა ირანის გუნდი.

გვინდა, ჩვენი კლუბის სახელით მალობა გადავუხადოთ თბილისის უშუ კუნგ-ფუს ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ დავით ხვედელიანს ჩვენი მიწვევისთვის და შეჯიბრის კარგი ორგანიზებისთვის.

გიორგი ცისკარაული

მადლიერება

რამდენიმე დღის წინ გულით ავად გავხდი, გამოვიძახე სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რომლის მედპერსონალმა არაფერი დაიშურა იმისთვის, რომ ჩემი თავი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოეყვანათ.მათვე გადამიყვანეს საავადმყოფოში, სადაც სამი დღე დავყავი, ექიმებმა თავი არ დაზოგეს, ყურადღება და სათანადო მკურნალობა არ მომაკლეს. მართალია სამედიცინო დაზღვევის პოლისი მქონდა, მაგრამ ეს არაფერ შუაშია, საქმეს თუ გულით არ მოეკიდები ფინანსები აქ არაფერ შუაშია.სწორედ ამითომ,ჩემი გადარჩენისთვის და კარგინ ყურადღების მოპყრობისთვის,დიდი პატივისცემით მადლობას ვუხდი სასწრაფო დახმარების მორიგე ექიმს არლოვა ტანიას, მის ექთანს, თერაპევტს ნინო წელაურს, ექთანს ლელა მატიაშვილს. მადლობა მათ იმისთვის რომ არსებობენ, იმისთვის, რომ რომ უბრალო ხალხს სიცოცხლეს გვინარჩუნებენ. ყველა მათგანს ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს და ულევ სიხარულს.

პატივისცემით,
შალვა შეითნიშვილი, სოფელ წითელწყაროს მცხოვრები

• •

რამდენიმე დღის წინ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ბაღაშვილს თხოვნით მივმართე, მისმა კარგმა მიღებამ მოლოდინს გადააჭარბა, აღფრთოვანებული დავრჩი ამ პატარა ბიჭის ადამიანური დამოკიდებულებით და საქმისადმი მიდგომით, ასეთი კარგი მიღება კარგა ხანია რაიონის ხელმძღვანელობაში არ მახსოვს. მიმაჩნია, რომ ის ნამდვილად ჩვენი რაიონის ღირსეული შვილი და საუკეთესო ლიდერია, მადლობა მას ყველაფრისათვის.

პატივისცემით,
ელისო ბოსტოღანაშვილი-კეტეციანი

• •

იყიდება!

ქ. დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქ.№26 (აფთიაქის გვერდით), პირველ სართულზე იყიდება ერთოთახიანი ბინა, რომელიც გამოიყენება როგორც საცხოვრებლად, ასევე კომერციული საქმიანობისთვისაც. ყიდვა შეიძლება განვადებითაც. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 571 55 99 51. იკითხეთ ლია. ფასი შეთანხმებით

ამინდი — დედოფლისწყარო

	შაბათი 12.05		კვირა 13.05		ორშაბათი 14.05		სამშაბათი 15.05		ოთხშაბათი 16.05		ხუთშაბათი 17.05		პარასკევი 18.05	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	20°	13°	21°	14°	19°	15°	19°	15°	19°	16°	20 °	17°	20°	15°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (კორესპონდენტები); მიხეილ მლეზრიშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
დაიბეჭდა შ.პ.ს „საარის“ სტამბაში

რედაქციის მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, ფირსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
599 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K